1937

ნიკორა

1937 წ.
ფასი 1 მ.
№ 7-8.

უძლურების ბრაზი

გერმანიაში კომპარტიის მიერ მოწყობილია არალეგალური რადიო-სადგური, რომელიც სისტემატურად აწარმოებს რადიო-გადაცემას. იგი კომუნისტურად აშუქებს ესპანეთის ამბებს; გადაცემა ინტერნაციონალის სიმღერით თავდება. გესტაპო ვერ ახერხებს მისაღმოჩენას. („ნიუ-იორკ ტაიმსი").

პროპაგანდის მინისტრი: — ახლავე, ჩემს თვალწინ შეიპყარით!.. ბორკილი გაუყარეთ!.. გათოკეთ!.. ჩამოახრჩვეთ... დახვრიტეთ!..

— ჰაერის ტალღები?! არ იქნება თქვენო ბრწყინვალებავ!

„პრავდას“

(დაარსებიდან 25 წლის შესრულების გამო)

ნახ. დონის

შენ გასჭედე ვით ფოლადი
„ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა
სიმართლის ხმად ქვეყნად ქუხდი
დასათრგუნად მონობისა“.

და იმა ხმის მოსმენაზე
მტერი ბრაზით ცეცხლს აფრქვევდა,
გდარაჯობდა ჩასაფრული
და ფარულად შენს კვალს სდევდა.

სახელები გეცვლებოდა
მტრების კვალის ასაბნევად...
წინ მიგვიძღვი, როგორც დროშა
მტარვალების დასაძლევად.

შიშტიბუქა და ვასტაბუქა

„მეკუბოვეთა არტელის გამგეობა და მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ, ამავე არტელის სრულ პაიან წევრის არქიფო არტემას ძის კუპატაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 16 მაისს“. — ასეთი განცხადება ამოიკითხა გაზეთში ვასტაბუქამ.

— ვაიმე ჩვენი ადგილკომი — წამოიძახა მან. ვინაიდან აგვიანდებოდა, გადმოხტა ტრამვაიდან და მოკურცხლა თავის თანამოლაყბე შიშტიბუქასაკენ.

შიშტიბუქა თუმცა დამწყები ორატორია, მაგრამ მაინც საკმაო სახელი აქვს მოხვეჭილი, როგორც უდაოთ ნიჭიერ და უზადო ტალანტის მქონე ტრიბუნს (ასე ეძახიან მას მეგობრები). შიშტიბუქას შეუძლია სახელდახელოთ, ექსპრომტად, საუბილეო, საფიზკულტურო, საპანაშვიდო, სატრანსპორტო და საკოლმეურნეო სიტყვის წარმოთქმა, ლექსად და პროზათ. ის ლაპარაკობს წყალივით, ისე გაბმით და შეუწყვეტლივ, ისე დაუსრულებლად (განსაკუთრებით ლუდხანაში), რომ მის გასაჩუმებლად ხშირად მილიციასაც კი მიმართავენ ხოლმე.

— ბიჭო, შიშტიბუქა, გძინავს? არიქა ადექი, ჩქარა, ჩაიცვი ჩქარა, ჩვენი ადგილკომი გარდაიცვალა, გვიშველე...

— იჰ!... ადგილკომი? — სიტყვა იქნება სასაფლაოზე სათქმელი ახლა!..

— ჰო, აჰა, უნდა გვასახელო შენებურათ... მალარიჩი იქნება, ხო იცი, ყელის ჩასაკოკლიზინებელი...

შიშტიბუქა დრამატიულად დაყაბულდა, სენტიმენტალურად ჩაიცვა, მელანქოლიური გამომეტყველება მიიღო და საპროცესიო ნაბიჯებით გაჰყვა ვასტაბუქას.

— ბიჭო, ქე ვიცნობდი იმ თქვენ ადგილკომს, ხო იცი შენ!

— ეუბნება გზაში იგი ვასტაბუქას. — დიდი მლიქვნელი, — თაღლითი და გაიძვერა ვინმე კი იყო ღვთის წინაშე...

— შიშტიბუქა, მიცვალებულზე ან კარგი უნდა სთქვა ანდა სულ არაფერიო, ხომ გაგიგონია!

— კანეჩნა, მარა ის მაინც დიდი პიმპლავაქი ვინმე კი იყო.

*

როდესაც მიაღწიეს დანიშნულ ადგილას, შეიტყვეს რომ მიცვალებული უკვე გაესვენებიათ. შიშტიბუქა და ვასტიბუქა, როგორც იქნა წამოეწიენ პროცესიას. ცხედარს ნელა მიასვენებდნენ, ასე რომ ჩვენმა ძმებმა ბარე ხუთჯერ მოასწრეს ლუდხანაში შერბენა და განსვენებულის სულის მოსახსენებლად სამი სასისკის, ორი ხინკალის და ხუთმეტი ჭიქა ლუდის კონფისკაცია შესძლეს.

— აჰა, მოვედით, ესეც სასაფლაო — მიმართა შიშტიბუქამ ვასტაბუქას, — ჩვენი საუკუნო საცხოვრებელი ადგილი.

შიშტიბუქამ დაიცადა სანამ მიწყნარდებოდა ვაი ვიშის სერენადა; ბოლოს როცა ცხედარი ჩაასვენეს სამარეში, შიშტიბუქა ცირკაჩივით წამოხტა, თეატრალურად გადაავლო თვალი აუდიტორიას და ოტელოს მსგავსად ასე წარმოსთქვა:

რას ვხედავ ამას, გამიშვით ხალხო
ვის დავუჯერო, ყურებს თუ თვალებს,
არ მომეკაროთ არავინ ახლო,
არტემ ჯან რისთვის გარდაიცვალე!..

ნეუქელი სიზმარი არ არის ეს ეუბნა? ეანეჩნა სიზმარია! მარა ვაი, რომ ეს სიზმარი არ გახლავთ ამხანაგებო... და ვაი, რომ არც მხედველობა გვატყუებს. ის, ვისაც ამ ორიოდე დღის წინათ გიგანტურ მხნეობით ვხედავდით ჩვენს ბეტონისებურ რიგებში, ის რომელიც... სწორედ ის ახლა ბუნების მკაცრი კანონით, რომელსაც ვერ უარყოფს დარვინის

აქა ამგავი ბენიტო ავერბახელისა

ბენიტო ბუაჩიძემ მწერლებს ავერბახის კეტი მოუქნია.



16/X 57
№ 31.

რომ „ურჩ“ მწერლებს ძალა
აგრძნობინოს მეტი,
მოიქნია ბენომ
ავერბახის კეტი

მოიქნია მწარედ
არ დაზოგა თავი,
რომ კალმოსნებს ოთხად
გაუტეხოს თავი.

ვით შურდული ზევით
აღიმართა კეტი,
რომ შემუსროს „მსხვერპლი“
სასოწანაკვეთი.

დაენარცხა კეფას...
მაგრამ ეს რა ხდება?!
მოქნეული კეტი
თვით ბენიტოს ხვდება.

თეორია, სწორედ ის გვამი გადაქცეულა უსულო ლეშათ, ნივთიერ მძორათ...

...შენ ვერ შესძელი სიკვდილთან ომი,
ცოცხალი იყავ, მკვდარი ხარ ეხლა,
ჰოი, სიკვდილო, ჩვენი მესტკომი
ხომ იცოცხლებდა, რომ არ მოგეკლა.

დანაკლისი ეგზომ დიდია ამხანაგებო... ნეუჟელი სხვა ვინმე გაგვიწევს ჩვენ მის მაგიერობას, კანეჩნა ვერა... ის იყო თავდადებული და ენერგიული მუშაკი...

სამაგალითო ბიჭო არტემავ
შენ საზდატვირთვას არ გაურბოდი,
სამაგიეროდ ჩვენმა არტელმა
დაგაჯილდოვა მუხის კუბოთი...

ხალხში აქაიქ გაისმოდა გულის გამგმირავი ზლუქუნი შიშტიბუქას ყოველ სიტყვაზე...

— ო, როგორ ეზიზღებოდა მას ყველა ის, ვინც ცდილობდა საკუთრების განიავებას... ლო ლეშათ, ნივთიერ მძორათ...

ზოგიერთ მუშაკს იგი არ გავდა,
იგი სხვა იყო, სხვა სულ სხვა არი,
ამბობენ, ვითომ რომ ფულს ფლანგავდა
მაგრამ ეს ალბათ ინტრიგა არი!..
არტემ, შენ ბევრი ნაკლი დასძლიე,
ამბობენ ტყვილი იყოს, ვითომ ეს,
წითელ დაფაზე რომ ვერ დაგტიეს,
შავზე ამიტომ გადაგიტანეს...

ჩვენ მოწმე ვართ იმისა, რომ არტემ არქიფიჩი ერთობ პურადი და შემბრალე კაცი იყო, აი ახლაც გვესმის იმ ობლების მოთქმა და ვიში, რომელთაც ჩვენი... არტემას შემწეობით ცხოვრობდნენ... არტემ არქიფიჩი ჯამაგირს სულ მეალიმენტეებს უნაწილებდა. განუსვენე უმწიკვლო და სპეტაკო ადამიანო, თუმცა შენზე ამბობენ, რომ თითქო კედლის გაზეთში წერა აგეკრძალოს თანამშრომლებისათვის, მაგრამ ამის მოწმე მე თვით ვარ, რომ შენ მხოლოდ შენს შესახებ აუკრძალე კედლკორებს, თორემ სხვებზე სწერეთ რამდენიც გნებავთო... საუკუნო ხსენება შენ.

შიშტიბუქამ განაგრძო თავისი მოკლე სიტყვა. ბევრს ცრემლებიც მოჰგვარა გულის დამდაღავმა ფრაზებმა, მაგრამ ბევრი განცვიფრებაში მოდიოდა, ჯერ ერთი რომ ვერ გაეგოთ, თუ ორატორი რატომ უწოდებდა განსვენებულს არტემ არქიფიჩს, როცა მას არქიფო არტემიჩი ერქვა. მსმენელები განცვიფრებაში იყვნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ და მხრებს იშმუშავდნენ.

— არტემა არქიფიჩი! — განაგრძო ორატორმა, მაგრამ დახეთ საოცრებას. მსმენელებმა ორატორს არაჩვეულებრივი და გასაოცარი რამ შეამჩნიეს, — იგი მიაჩერდა ერთ წერტილს და თვალების ხამხამს მოჰყვა.

— ბიჭო, ვასტაბუქა, ის აკი ცოცხალი ყოფილა. — ჩაილუღლუღა თავზარდაცემულმა შიშტიბუქამ.

— ვინ ყოფილა ბიჭო ცოცხალი, ხომ არ გადაირიე?!

— ვინ და არტემ არქიფიჩი. აი იქ დგას ნაძვთან.

— ის კი არ მომკვდარა ბიჭო, არამედ არქიფო არტემიჩი მოკვდა.

— შენ რომ სთქვი ჩვენი ადგილკომიო.

— მე გითხარი ყოფილი ადგილკომი შე ბრიყვო, თორემ ახალზე კი არ მითქვამს.

— დავიღუპე ნაღდათ ვასტაბუქა, ხომ იცი შენ...

— ნუ შეწყვიტე, განაგრძე, სირცხვილია... გამოასწორე...

შიშტიბუქა უცებ შემობრუნდა სასაფლაოსაკენ და წინანდელ „მჭერმეტყველურად“ განაგრძო თავისი შეწყვეტილი სიტყვა, ოღონდ პატეფონის ფირფიტა გამოსცვალა და სხვაგვარად დაუკრა. ნაძვქვეშ მართლა იდგა — ადგილკომის თავ-რე არტემ არქიფიჩი, რომელმაც არჩევნების მოლოდინში გვარიანი ვახშამი გადაიხადა. სადაც შიშტიბუქა თამადათ ყავდა. იგი მისჩერებოდა ორატორს კბილების ღრჭენით და გულში ამბობდა:

— ასარჩევ კანდიდატების სიაში ამომშალე არა? ცოცხალს კაცს წესი ამიგე და დამმარხე ხომ?! განანებ, თუ ბიჭი ვყოფილვარ!..

დონ-კიხოტი.

ოლიფანტე თავკვაზაძის ახალი გამოგონება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ისაევის

ამხ. ნიანგო! უკანასკნელ დროს ხშირია შემთხვევა, როდესაც ქურდ-ბაცაცები ყოვლად უსინდისოდ ამტვრევენ მოქალაქეთა ბინების კარებს და მიაქვთ მათი სარჩო-საბადებელი. როგორ დავიცვათ კარები გატეხვისაგან? აი საკითხი, რომელიც დიდხანს იტაცებდა ჩემს გრძნობა-გონებას, ჩემმა ნატვრამ ფრთები შეისხა! საკითხი გადაჭრილია სულ უბრალო საშუალებით. საკმარისია ბინიდან გამოსვლის დროს მოქალაქემ ჩამოხსნას და მოიკიდოს ზურგზე კარები, ისე როგორც მე მხედავთ და ამის შემდეგ შეუძლია დამშვიდებით გაისეირნოს, რადგან მისი ბინის კარები ამ ხერხით ამიერიდან საესებით დაზღვეული იქნება ყოველგვარ „დაუპატიჟებელ სტუმრების“ თავდასხმისაგან.

პატივისცემით ოლიფანტე თავკვახაძე.

მოჟულიკო „ალქიმიკოსები“

რაი არს ქიმია?

ქიმია არის მეცნიერება, რომელიც დღევანდელი ცხოვრების ერთერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს.

„ქიმიურმა მეცნიერებამ შექმნა მრეწველობა, მრეწველობამ შექმნა ქიმიური მეცნიერება“, — ამბობს აკადემიკოსი ბახი.

მაგრმ აუარებელ დადებით თვისებებთან ერთად ქიმიას, როგორც მეცნიერებას, ერთი უდიდესი ნაკლი ახასიათებს: იგი ძნელად გასაგებია და მისი შესწავლა მოითხოვს შრომას, მუშაობას, თუნდაც ისეთი განსწავლული პირებისაგან, როგორიც არიან სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტის სტუდენტები — ალექსანდრე პირკულაშვილი, გიორგი იაქიშვილი, ალექსანდრე მიზანაშვილი, თამარ მეტრეველი.

სწორედ ქიმიის ამ ძირითადმა ნაკლმა წარმოშვა ერთგვარი გაუგებრობა და უკმაყოფილებაც კი პროფესორის კაბინეტის კარებთან.

წარმოვიდგინოთ ეს კარები. იგი დაკეტილია. კაბინეტში ზის პროფესორი ან დოცენტი. რაც უნდა სიმპატიური ადამიანი იყოს იგი, ამ წუთში მაინც უსიმპატიოა ზემოთ ჩამოთვლილი სტუდენტებისათვის, რადგანაც ქიმიას იბარებს...

— ოხ, ეს ქიმია, თავისი გაუგებარი ფორმულებით!..

კაბინეტიდან გამოდის სტუდენტი. მას ან უბრწყინავს თვალები, ან არა. თუ უბრწყინავს, მაშასადამე ჩაუბარებია.

ავიღოთ ისეთი, რომელსაც თვალები უბრწყინავს:

— რა ქენი ბიჭო? ჩააბარე ხომ?

— ჩავაბარე...

— ძნელი იყო? რა გკითხა?

— იმდენი არაფერი: ფორმულები, ქიმიის ისტორია, ალქიმიის პერიოდი...

— დედავ, რაღა ვქნა!.. კიდევ?

— კიდევ? არაფერი: მკითხა მეიერის, ალბერტ მაგნუსის, როჟერ ბეკონის, ტეოფრასტ პარაცელზის, რობერტ ბოილის, ლომონოსოვის, ლავუაზიეს, ბერტოლეს, ფარადეს და შემდეგ ახალ მეცნიერთა შესახებ.

— ესაა ხერე „არაფერი?“ მაგას ვინ დაიმახსოვრებს?

— ძნელი არაა: უნდა ისწავლო და გაიგებ... აბა, მშვიდობით, — ამბობს იგი და კიბეზე ჩარბის.

ზემოთჩამოთვლილი პირები რჩებიან. ისინი წყევა-კრულვას უგზავნიან ალქიმიკოსებსაც და ქიმიკოსებსაც; ეგვიპტელებსაც, რომლებიც შვიდი ათასი წლის წინათ ადნობდნენ რკინას (მაშასადამე, ისინიც ქიმიკოსობდნენ) და დღევანდელ ელექტროქიმასაც.

კაბინეტიდან გამოდის შემდეგი სტუდენტი, რომელსაც თვალები არ უბრწყინავს:

— რა იყო ბიჭო? ვერ ჩააბარე?

— რას ჩააბარებ! მიბრძანდი და სინჯე!

— ძნელად კითხულობს?

— ძნელად რომელია? წამოგიყენებს ისეთ ფორმულას, რომ თმა ყალყზე დაგიდგება. აბა მითხარი, იცი რა არის ელექტრონიონური თეორია? ან გაგიგონია რეზეფორდის ცდები? იცი რა არის ურანი, თორიუმი და აქტინიუმი?..

— ვაი ამ საათს! ბაბუა ჩემს რომ აქტინიუმი გაეგონა, ხეზე ავარდებოდა... ჩვენ საიდან გვეცოდინება!

— საიდან და წიგნშია თურმე...

ალქიმიკოსები (ასე ვუწოდოთ ჩვენს ნაცნობებს) ნელა შორდებიან პროფესორის კაბინეტს და ქუჩაში გამოდიან.

— არა ძმაო, მე ფიზკულტურის ფაკულტეტზე ვარ და არა ქიმიურზე, მასეთ ქიმიას მე ვერ ჩავაბარებ! — ამბობს ერთი.

— მეც ფიზკულტურულზე გახლავარ, არც მე მეპიტნავება ეგ შენი ქიმია! — უმატებს მეორე.

— ჩვენც. ჩვენც! — მოსძახებენ სხვები.

ძახილი ძახილია, მაგრამ ქიმიის ჩაბარება მაინც აუცილებელია. უამისოდ ვერ გადახვალ შემდეგ კურსზე. მაგრამ სად არის დრო, რომ ამ სტუდენტებმა ატომისტიკა, ელექტროლიტური დისოციაციის თეორია, პერიოდული კანონი, ორგანული და გამოყენებითი ქიმიები ისწავლონ?

ასეთი დრო ჩამოთვლილმა ალქიმიკოსებმა ვერ გამონახეს, მაგრამ გამონახეს ნამდვილი ქიმიკოსები — ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტები.

აქედან უკვე ასეთი სცენები იწყება:

ფიზკულტურელი გიორგი იაქიშვილი მირბის ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტ დავით არჩვაძესთან.

— დათიკო, შენი ჭირიმე!

— რა იყო ბიჭო?

— ვიღუპები!.. მიშველე!.. შემჭამა ქიმიამ!..

— ქიმიამ? რას მიედ-მოედები? ქიმიაზე საყვარელი მეცნიერება რომელია? იცი შენ, რა გადატრიალებას ახდენს ქიმია? გესმის, როგორ ვითარდება ჩვენი ქიმიური მრეწველობა?

— არ ვიცი... არც მინდა ვიცოდე... თუ შეგიძლია, დამეხმარე, თვარა თავს მოვიკლავ...

— რა მოგიხერხო?

— რა და... ჩემს მაგივრად უნდა ჩააბარო ქიმია!..

ასეთივე დიალოგია გამართული ფიზკულტურელ მიზანაშვილსა და ქიმიკოს ჰუსეინ მჟავანაძის შორის:

— ჰუსეინ, შენ გენაცვალე!..

— რა მოგივიდა სანდრო?

— ქიმია უნდა ჩააბარო ჩემს მაგიერ!..

— გაგიჟებულხარ! მერე შენ რაღა დაგრჩება? იცი რა არის ქიმია? ქიმიური ომი მაინც აღარ გაგიგია? ქიმია სახალხო მეურნეობის განვითარების დასაყრდენია.

— იყოს, ყველაფერი იყოს, ოღონდ ახლა მიშველე!..

— სულელო! ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს გერმანიამ მოახდინა ოცდაათი ათასი ქიმიკოსის მობილიზაცია...

— კაცო, მე ისტორია კი არ მინდა... უნდა მიშველო და ჩემს მაგივრად შენ ჩააბარო...

იგივე დიალოგი, სახეცვლილი, მიმდინარეობს თამარ მეტრეველსა და ქეთო არჩვაძის შორის, ოღონდ ბიოლოგიაზე.

— ქეთო, უნდა მიშველო, ბიოლოგიის ვერაფერი გავიგე...

— როგორ ვერ გაიგე ქალო, ბიოლოგია ველარ გაიგე? მეცადინეობდი?

— მეცადინეობით არა, მაგრამ ვიცი, ვერ გავიგებ...

— ნუ სულელობ, იმეცადინე! თუ გინდა დაგეხმარები!

— არა, არ შემიძლია... შენ უნდა ჩააბარო...

— მე, გენაცვალე, დიდი ხანია ჩავაბარე!

— კიდევ უნდა ჩააბარო... ჩემს მაგივრად...

ასეთივე სცენა მეორდება პირკულაშვილსა და ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტს შორის...

ამ დიალოგების შედეგად ქიმიკოსები შეიარაღდნენ ალქიმიკოსთა მატრიკულებით და წარსდგნენ ქიმიის პროფესორებისა და დოცენტების წინაშე.

— ყოჩაღ, იაქიშვილო! აი, ასე უნდა ქიმიის სწავლა, — აქებს პატივცემული სწავლული ქიმფაკის სტუდენტ დავით არჩვაძეს და იაქიშვილის მატრიკულში სწერს „ფრიადს“.

— აი, ეს მესმის! კარგად გისწავლია მიზანაშვილო, — კმაყოფილებით ეუბნება დოცენტი ჰუსეინ მჟავანაძეს და იმასაც „ფრიადით“ აჯილდოვებს.

— გეტყობა გიმეცადინია! საქებია სწორედ! — ამხნევებს ქეთო არჩვაძეს ჩამბარებელი და თამარ მეტრეველის მატრიკულს ამდიდრებს ახალი „ფრიადით“.

— საქმე ალჩუზეა. ალქიმია თავის სიმაღლეზეა. მისი წყალობით ნამდვილი ქიმია „ჩააბარეს“ ფიზკულტურული ფაკულტეტის ისეთმა სტუდენტებმა, რომლებიც არა თუ ხელის ჩამორთმევით, არამედ ქუდის მოხდითაც კი არ იცნობენ ქიმიას.

ქიმია რეალური მეცნიერებაა, ჩვენი ფიზკულტურული მოჟულიკო ალქიმიკოსები კი რეალობიდან აბსტრაქციის სამყაროში გაიქცნენ...

აღლარ-აღლარსან

ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო

ანუ

ს ა ნ ი ა ნ ბ ო ე პ ი ზ ო დ ე ბ ი ი ტ ა ლ ი ი ს, ა ვ ს ტ რ ი ი ს დ ა ბ ე რ მ ა ნ ი ი ს მ ე ბ ო ბ რ ო ბ ი ს ა წ მ ყ ო - წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

ეროვნული ბიბლიოთეკა





შეფიცულები არიან
ერთი გზით მუდამ იარონ
და ერთმანეთის შვება და
ხიფათი გაიზიარონ.

არ გასწირავენ ერთმანეთს
არც ფხიზელს არცა მძინარეს,
თუნდ ჩამოიქცეს ზეცა და
ცეცხლი გაუჩნდეს მდინარეს.



ისევ სხვა ქარი ამოტყდა
სხვა მხრიდან, გასაკვირველი,
ძმად შეფიცულმა ორმა „ძმამ"
გააპანღურა პირველი.
თვითონ კი სდებენ პირობას
ანდერძად დაიბარებენ,
რომ დღეის შემდეგ განდევნილს
ახლოს არ გაიკარებენ.
არ ენდობიან პირქუშსა
არც ფხიზელს, არცა მძინარეს,
თუნდ ჩამოიქცეს ზეცა და
ცეცხლი გაუჩნდეს მდინარეს.



მაგრამ დაქროლა ნიავმა
სხვა მხრით მოვიდა ქარია,
ორმა ძმამ მოძმეს მესამეს
ცხვირში ადინა ძმარია.
„ეს ისე მოხდა... რაც მოხდა
სულ „ბრმა შემთხვევის" ბრალია
და „კოლექტივი ძმებისა"
კვლავ ძველ ხმით მომღერალია:
„არ გასწირავენ ერთმანეთს,
არც ფხიზელს, არცა მძინარეს,
თუნდ ჩამოიქცეს ზეცა და
ცეცხლი გაუჩნდეს მდინარეს.

ისევ სხვა ქარი უბერავს
და სხვანაირი დარია
განი მიეცით ყველამა,
შეფიცულები არიან.
სიტყვას აძლევენ ერთმანეთს
ერთი გზით მუდამ იარონ,
ერთიმეორის შვება და
ხიფათი გაიზიარონ.
არ გასწირავენ ერთმანეთს
არც ფხიზელს, არცა მძინარეს,
თუნდ ჩამოიქცეს ზეცა და
ცეცხლი გაუჩნდეს მდინარეს.

ნიანგი მნერალთა აქვიეის კრებაგე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტ. ტაბიძე



— არა გვაქვს ლექსიკონები... როგორ ვწეროთ ულექსიკონოთ ლექსები, სად მოვსძებნოთ უცნობი სიტყვები, უცნაური გამოთქმები!...

ვ. გაფრინდაშვილი.

აქ მწერლებს სამართლიანად უსაყვედურეს — ქალაქიდან არ გადიხართო.

— როგორ არ გავდივართ...

— მხოლოდ სანადიროთ დადიხართ.

— შენ?

— მე არც სანადიროთ დავდივარ...

პ. იაშვილი

— ბევრი დაიწერა ჩემზე, მაგრამ კრიტიკას ყურადღებას არ ვაქცევ... რამდენიც არ უნდა მაკრიტიკონ წელიწადში 2 ნახ. ლექსს მაინც დავწერ...

ნ. მიწიშვილი

— ჩემი გუშინდელი აქ ნალაპარაკევი გაიგეს ისე როგორც მე ვსთქვი. მე ვაცხადებ: გაიგეთ ისე, რომ არავის ეწყინოს.....

პ. საყვარელიძე

— მე მწერლობას დიდი სარგებლობა მოვუტანე. გაიხსნა აგურის, გაჯის, ხე-ტყის და სხვა მრავალი ფაბრიკა-ქარხნები, სამკერვალოები, მოდების ატელიე. გაჯის ქარხანას არაფერი აქვს საერთო მწერლობასთან? წერეთელმა შეჭამა ყველაფერი? რაც ქნა მერე მე? ორი წელია რადიო მოსვენებას არ მაძლევს და ვერაფერი დავწერე... გაუკეთეთ მწერლობას თქვენ ჩემოდენი და მერე მაკრიტიკეთ.....

ს. კლდიაშვილი



— აქ ერთ მდივანს უთქვამს — მდივნებს ფარული კენჭისყრით ვინ აარჩევიებს მწერლებსო... როცა არჩევნები იქნება მე მას ხმას არ მივცემ...

— დაასახელეთ მდივანი...

— არ ვიცი...

— მაშ, როგორ არ მისცემ ხმას?

— მანამდე გაავიგებ.....

შ. რადიანი

— 23 აპრილის შემდეგ მე გარდავქმენი მუშაობა. არაფერს ვსწერ თანამედროვე ლიტერატურაზე და..... შეცდომასაც არ ვუშვებ...

ხ. მთვარაძე —

— მე დიდათ პატივს ვცემ ჰერცელ ბააზოვს, ბოდიშს ვიხდი მის წინაშე, ძალიან მერიდება მისი, დიდათ უკაცრავად ვარ, მაგრამ მისი „იცკა“ ბიოგრაფიაა დიალოგებში.

ი. მჭედლიშვილი

— ტრაქტორი ღამეც არ ისვენებს... კა, კა, კაკა!.. მე კი ვზივარ ბუჩქებში.....

ბრიყვი თაგვი და მოსე ვარამაშვილი

„საქკარაქმრეწვის მმართველმა ვარამაშვილმა აპარატში თავი მოუყარა ნათესავებს — კომბინატორებს. იგი სდევნიდა საქმის მცოდნე ხალხს, თვითნებობდა, ანიავებდა სახალხო დოვლათს“.

— მოსე ვარამაშვილს კავშირი ჰქონდა ხალხის მტრებთან.

(გაზეთებიდან.)

ის თქმულება ალბად გახსოვთ
ერთ ბრიყვ თაგვს, რომ დაემართა:
ჭუჭრუტანას შეძვრა ერთხელ
და შიგ სულ არ ვაეხლართა?
შეძვრა და როს გაძღა შიგნით,
გასივდა და გაიბერა, —
ჭუჭრუტანა ევიწროვა
და დაფიქრდა გაიძვერა, —
სთქვა თუ: — სჩანს, რომ მე ვყოფილვარ
საკუჭნაოს მფლობელიო, —
სახრავს რატომ გაურბივარ,
თუ ვარ ჭკუამყოფელიო?
აწ დღეიდან მე ვბრძანებლობ
ამ სახრავის ბატონიო, —
თაგვთა შტატი შეჰქმნა და სთქვა:
— აქ ჩვენა ვართ პატრონიო.
სთქვა და თვითვე დაიჯერა,
აკუნტრუშდა გაიძვერა
და მის ირგვლივ წრუწუნები
„აფერუმო“ მღერდენ შვებით...
მაგრამ როცა ეს წრიპინი
ჩასწვდა ყურში მეპატრონეს,
შეიხედა საკუჭნაოს
და მიმათრა სასტიკ ლონეს,
და იწვნია თაგვთა კრებამ,
რაც იმათ ჯიშს ეკადრება...
— ნეტავ თუ რა გვეთაგვება.
ალბად გულში იტყვით თქვენა, —
ან თუ თაგვზე ლაპარაკობს
მოსე რაღათ გაიხსენა.
მაგრამ გავყვეთ ამბის კვალს და
თუ საერთო ვერა ვნახეთ,
თქვენ მართლებმა, — მე მტყუანი
განმაჭიქეთ და დამძრახეთ...

2.

გთხოვთ იცნობდეთ... მოსე გახლავთ —
ტანად ბრგე და ზურგით ბრტყელი,
მუდამ დაბლა მაცქერალსა,
მოღერებით დააქვს ყელი
და ამ მოსეს... (არ გეგონოთ
მოსე „წინასწარმეტყველი“)
მადა მოსდევს, გემო იცის,
ეტრფის კარაქს, უყვარს ყველი,
არც თუ ნაღებს დაიწუნებს,
თაფლშიც მოსწონს ჰქონდეს ხელი,
რომ შემდეგში დინჯად ლოკოს
ჩანაწები თითი ტკბილი.
„ღირსებები“, რამდენიც გსურთ,
ვაჟი გახლავთ შემკობილი
და სანიშნო თვისებად აქვს,
შავი გული — თეთრი კბილი...
ვერ იცანით? მაშ მის პორტრეტს
ვერ გიხატავთ ვატყობ აქ მე, —
მაშ ისევ სჯობს განვიხილოთ
მისი „ღვაწლი“, მისი „საქმე,“
რადგან საქმე გამოაჩენს
გამკეთებლის სახეს ნამდვილს, —
მის ზრახვას, თუ მოქმედებას,
მის სწრაფვას, თუ გულის წადილს.

3.

ერთხელ მოსე ახტა-დახტა
„კარაქმრეწვში“ ჩახტა, —
გაუკვირდა — ყველ-კარაქი,
უჰ, რამდენი დახვდა.
მიიყნოსა, მოიყნოსა,
მიცუნცულდა დახლთან;
— ბიჭოს, კარგი საქმეაო, —
ნატვრა ჩემი ახდა.

სთქვა: მოვიწვევ ჩემიანებს,
ვინც მუდამ გვერდს მახლდა
და ოჯახურ ტრესტად ვაქცევ,
ამ კარაქტრესტს ნაღდად...
თქმას უმალვე საქმე მოჰყვა:
დატრიალდა ჯარად
და შინაურ-ნათესავებს,
მოუწოდა მტკბარად
და მოგროვდნენ ერთიანად,
ვინც იგულვა მისიანად:
ბიძა, ქვისლი, სიძე, სვინა,
ნათლული, თუ ნათლიმამა,
ვისაც სურდა დუმის თლა და
„გემრიელი ლუკმის“ ჭამა,
ყველ-კარაქის კვერეულთა
აღიმართა ბარიკადი, —
ტრესტი ციხე-სიმაგრეა,
შეუვალი, უდრეკალი,
შიგ მოსეა მეციხოვნე,
ლაშქრად — დამქაშთ ჯარსა ჰხადის,
მუსრავს ყველა „გარეულებს“
ვინც კრიტიკის გზაზე დადის,
ვის საქმისთვის გული სტკივა
და იცის, თუ რასაც სჩადის.
აქეთ მოსე, იქით მოსე,
აქ ძმაკაცი, იქ ძმა-ბიჭი,
უმღერიან ტკბილის ხმითა,
მლიქვნელობის ვისც აქვს ნიჭი:
უმღერიან: „ჰერი მოსე,
ჰერი ბიჭო, ჰერი, ჰერი,
შინაურად ვინც არ იცნო
დაიფრინე, როგორც მტერი.
ვინ დაგიშლის, ვინ დაგჯაბნის,
პარტმანდატი გიმკობს ჯიბეს.
კრავად მოგაქვს ყველგან თავი,
ისე ასდევ ნდობის კიბეს,
ტყუილს მართლად გაასაღებ,
როცა სჯერათ შენი ზევით,
დატრიალდი, დაერიე
პარტიულობს შოლტის ქნევით.
დასცხე, დაჰკარ საქმის ხალხსა,
ვინც დაგვიშლის პარპაშს, ღვაწლსა, —
ხუმრობაა?! — შენს წინ ფართო
კარებია განაღები, —
შენც ჭამე და ჩვენც გვაჭამე
ყველ-კარაქი, თალფ-ნაჭები
გაამებს და გაგასუქებს,
ლაღი უფრო გალაღდები,
შენი არ ვართ? ჩვენი არ ხარ?
მოგვყე რაღას გვეურჩები?
ტკბილ ულუფას მინაჩოჩნი
ჭამის მეტს რას გამოვრჩებით.“

4.

და კარაქმრეწვს შეესია
მოსეს რაზმი ვრცელ ლაშქარად,
გასწიეს და გამოსწიეს,
ართუ მალვით, მთლად აშკარად —
მოსე,
მოსეს მეგობრები
აქეთ მოსე, იქით სვინა,
აქ ბაბუა,
იქ ნათლია,
ყველამ, როგორც წესი იყო,
ზორბა ლუკმა დაითრია;
აკნატუნეს,
ხუსნეს, ჯუკნეს, ზიდეს, ყლაპეს არ დაზოგეს

ნორჩი მიმბაძველი

„თბილისის საბჭოს მთელი რიგი განკოფილებები უგეგმოთ ამშვენებენ ერთიმეორეს. განყოფილება ამშვენიერებს ქუჩებს, მეორე გამშვენიერებელს — სოხტის ანგრევს.

(გაზეთებიდან)

ნახ. დონის

— რას შვრები, რატომ აოხრებ ამ მშვენიერ განიერ ბაღს?
— არა ძამიკო თბილისის საბჭოს მეთოდით ვამშვენიერებ: ჯერ ამოვთხრი, ისევ ჩავრგავ, შემდეგ კვლავ გადავთხრი და კიდევ გავაშენებ...

და რასაც ვერ მოერიენ
დაალპეს და დაობეს;
შემდეგ მეწყერს გაატანეს
ოქროსფასი ერბო-ყველი,
თვით კი ტკბილად, შეწყობილად
ჩაიკოკლოზინეს ყელი. —
— აფერუმო, გაიძახდნენ
სუფრის თავზე განაბრტყელი, —
— ტრესტი საწველ ფურად დაგვრჩა
არხეინად ჩვენცა ვწველით...

*
* *

ასე იყო კარაქმრეწვში,
ეს ამბავი ვნახეთ ჩვენ და
იმ ბრიყვ თაგვის ისტორია
უნებურად გაგვახსენდა.

ფარსადანი

რედაქციისაგან
მზადდება სპეციალური ნომერი
ი. ჭავჭავაძის
დაბადებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად

პატარა მოთხრობები

ძველი ხეჭილი, გამოქექილი

— პატივცემულო მოსამართლენო, მე მხოლოდ სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის ვიცავ საწყალ, უდანაშაულო ბრალდებულ კოტრიკაძეს, რომელსაც პროკურორი ბრალდებად უყენებს, თითქოს მან მოქალაქე დოვლათაძეს ძროხა მოჰპარა, ეს ბრალდება გაუგებრობაზეა აგებული. საქმის ნამდვილი ვითარება კი შემდეგშია:

ბრალდებული კოტრიკაძე მიდიოდა მინდვრად, სადაც მან ბალახებში თვალი მოჰკრა ბაწრის ნაჭერს. როგორც გულშემატკივარმა კაცმა, მან ეს ბაწრის ნაჭერი აიღო და წაიღო სახლში.

შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ბაწარი თურმე ძალიან გრძელი იყო და მისი მეორე ბოლოთი ძროხა იყო დაბმული მინდორში საბალახოდ. მართალია, კოტრიკაძემ ეს ძროხა დაინახა მინდვრად, მაგრამ მან არ იცოდა, თუ ეს ძროხა იმ ბაწრის მეორე ბოლოთი იყო დაბმული. მან ეს ბაწარი ნაწყვეტად წარმოიდგინა და სახლში წაიღო. რა ვუყოდ მერე, რომ ბაწარს ძროხაც თან გაჰყვა.

მხოლოდ სახლში მისვლისას, როცა ბრალდებულს ძროხა ჩაჰყვა ეზოში, გამოირკვა, რომ იმ ბაწრით ძროხა ყოფილიყო დაბმული.

ამის შემდეგ როგორ უნდა მოქცეულიყო ბრალდებული? სწორედ ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა: მან ძროხა თავლაში დააბა.

— რატომ არ გაუშვა ძროხა, რომ პატრონთან დაბრუნებულიყო!

— ალბად იმიტომ, რომ ძროხა არ დაკარგულიყო... ამგვარად, პატივცემულო მოსამართლენო, კოტრიკაძეს უნდა მოეხსნას ძროხის ქურდობის ბრალდება. რა შუაშია აქ ძროხის ქურდობა, როცა კაცმა მინდვრად ბაწრის ნაჭერი იპოვნა და სახლში წაიღო? რა მისი ბრალია, რომ ამ ბაწარზე ძროხა ყოფილა დაბმული? ეს რომ სცოდნოდა, ცხადია, ხელსაც არ ახლებდა ბაწარს.

— სულ მართალია, რაც მოგახსენეს, სწორედ ასე იყო. — იცრუა ბრალდებულმა.

მაგრამ მასა და მის დამცველ ვექილს ორინი არ გაუვიდათ.

დათა ჭიპიაშვილი

დათა ჭიპიაშვილი ორ დღეს არ გამოჩენილა პროსპექტზე და საადილოებში. ბევრ მის ნაცნობს უკვირდა ეს ამბავი.

მესამე დღეს მისი ნაცნობების გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდათ, როცა იგი გამოვიდა ბინტებით თავშეხვეული, ცალი ყავარჯენით ხელში და კისერზე ცალხელჩამოკიდებული.

— დათა, ეს რა მოგსვლია?

— სამი დღის წინად ჩხუბი მომივიდა.

— ვისთან?

— აი ჩვენი ჭაჭია რომ არის.

— ჭაჭია ერთი საათის წინ ვნახეთ და მას არაფერი უთქვამს ამის შესახებ!

— ვერც იტყოდა. ისეთი ვსცემე, ისეთი ვსცემე, რომ სიგრძე განად მოვუქციე, ხოლო განი — სიგრძედ. არ შევარჩინე არც ერთი კბილი, ხელი მოვტეხე და ფეხი, თავი ჯვარედინად გავუტეხე. ხომ იცით ჩემი ამბავი. ძლივს გამომართვეს ხელიდან, თორემ შემომაკვდებოდა.

— ბიჭო, მას სულ არაფერი ეტყობა, რომ ვინმეს ოდესმე მისთვის თითი გაეკარებინოს. არც ფეხი სტკივა და არც ხელი, კბილებიც ყველა აქვს და თავიც მთელი აქვს. შენ კი ეს რა მოგსვლია, ტრამვაის დაეჯახე, ორთქლმავალს თუ ფუნიკულიორიდან გადმოხტი, რომ ასე დამტვრეულხარ?

— აკი გეუბნები, ჭაჭია გავლახე და ყველაფერი ეს მასთან ჩხუბის დროს მომივიდა... აი აგერ მოეთრევა თითონ. — გაეხარდა ჭიპიაშვილს და დაუძახა: — ჭაჭია, მოდი აქ.

— რა გინდა ბიჭო? — და ჭაჭია მიუახლოვდა.

— ამათ არა სჯერათ, რომ მე და შენ ამ ორი დღის წინად ჩხუბი მოგვივიდა და მე რომ შენ სასტიკად გცემე და გაგლახე. მარა ამაზე ქუჩაში ლაპარაკი არა ღირს. ჩავიდეთ აგერ სარდაფში და სუფრაზე ვილაპარაკოთ!

და ისინი იქვე მახლობლად სარდაფში ჩავინენ.

ტირში

გამგე, მემანქანე ქალი, რომელსაც გამგე ეტრფოდა, და ბუჰხალტერი ტირში წავიდნენ.

ბუხჰალტერი მსროლელი იყო და მას მკერდს სათანადო ნიშანი უმშვენებდა.

— გრიშა, — გადაუჩურჩულა გამგემ ბუჰხალტერს, — ვიცი, შენ მსროლელი ხარ, მაგრამ ღმერთი არ გაგიწყრეს და არ მაჯობო. განგებ ააცილე მიზანს, თავი არ მომჭრა ამ ქალთან, რომელსაც უნდა ვაჩვენო, რომ კარგი სროლა ვიცი და უარის თქმა არ გამიბედოს სიყვარულზე, თორემ ტყვიით გავგმირავ. გაიგე ახლა!

— გავიგე, მაგრამ ნიშანი რომ მკიდია, განა სირცხვილი არ არის რომ ავაცდინო. — დაუწყო ვაჭრობა ბუხჰალტერმა.

— მოიხსენი და ჯიბეში ჩაიდევი!

ბუხჰალტერი ასეც მოიქცა.

გამგემ ამის შემდეგ, რასაკვირველია, აჯობა ბუხჰალტერს.

— თქვენ ტყუილად ტრაბახობდით, რომ კარგი სროლა ვიცი და მსროლელი ვარო. — დასცინა ბუხჰალტერს მემანქანე ქალმა.

მეორე დღეს გაიგო ქალმა ბუხჰალტრის ტირში დამარცხების მიზეზი, როცა ბუხჰალტერი სალაროში ფულს ღებულობდა.

— თქვენ ძალიან გწყალობთ გამგე, ავანსის შედგენაში ამდენი პრემია ვის გაუგონია. — უთხრა მემანქანემ ბუხჰალტერს.

— ეს გუშინდელი ჩემი დამარცხების ნაყოფია.

— როგორ?

— შენ გეტრფის და მთხოვა, რომ მისთვის არ მეჯობნა. მეც ავდექი და, რომ პრემია მეტი მოეცა, დავეთანხმე.

უბრალო მოსაზრება

ფოთის ელქსელის ტექნიკოსს ჟვანიას ემდურიან: საქმეები მთლად არივ-დარია, ქალაქში „ღამით სინათლე არ არის, დღით ელექტრონი ანთიაო". სწორედ ახირებული ხალხია ეს ფოთელები: განა არ შეუძლიანთ დღისა და ღამის გადასმა, რომ თავისი ძილღვიძილი ტექნიკოს ჟვანიას მუშაობას შეუფარდონ. მითომ ამით რა დაშავდება. აქ მხოლოდ უბრალო მოსაზრებაა საჭირო.

შურა

იძულებითი ასორტიმენტი

მაღაროს კარის (დუშეთის რაიონი) ფურნის გამგე ლადო კობაიძე ვაჭრობაში იძულებითი ასორტიმენტს მიმართავს: კილო პურში მყიდველს იძულებითი წესით ატანს ერთ მეტრ გამომცხვარ კანაფს, 50 გრამ შემწვარ ჭია-ღუას, ჩხირებს და ფართო მოუხმარებლობის სხვა საგნებს.

ხეველი

გამარჯვებული

ა. კ. რკ. გზაზე ისევ ხშირია გრაფიკის უხეშად დარღვევის შემთხვევები (ძ — ო).

სადგ. მოჩიგე (მემანქანეს): — სხვებმა იკითხონ, თორემ შენ რა გაჩქარებს: ერთი საათითაც რომ კიდევ ჩამორჩე 7 საათზე მეტს მაინც ალარ დაიგვიანებ!

მზრუნველი ბიუროკრატი

ჯუღელის ფეროქარხნის საფინანსო ნაწილის უფროსი ნიჟარაძე პრაქტიკულად ახორციელებს ლოზუნგს: „შორს მუშტრისგან ბიუროკრატები“. იგი თავის კაბინეტში არ უშვებს მუშებს, ახლო არ იკარებს მათ. ბიუროკრატის ეს მზრუნველობა დასაფასებელია. ოღონდ საჭიროა ვინმე სხვა დაეხმაროს შემდეგი ლოზუნგის განხორციელებაში“: შორს ჩვენს დაწესებულებათაგან ბიუროკრატები“.

ივ.—ძე

არგუმენტი

უკანაფშავის (დუშეთის რაიონი) სამკითხველოში ვერ ნახავთ ვერც ერთ წიგნს, ვერც ერთ გაზეთს და საერთოდ პოლიგრაფიული ხელოვნების ნაწარმოებს. გიკვირთ, რატომ დაურქმევიათ ამ ცალიერი ოთახისათვის სამკითხველო. იქნებ იმიტომ, რომ ამ ოთხი კედლის გამგეს ქეთო ჭელიძეს სამკითხველოს გამგე ჰქვიან და ჯამაგირად თვეში ათი თუმანი ეძლევა. თუ ასეა, ვერ ვიტყვით, რომ საფუძვლიანი არგუმენტი არ იყოს.

მ—ე

ან კოვზი, ან კეტი

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ქ. ცხაკაიამ № 1 სასადილოში შემსვლელთ გარკვეული მოვალეობა ჰქონდეთ დაკისრებული: ან სადილის ჭამა ან დამშეულ ძაღლებთან ხელჩართული ბრძოლა, თორემ შეუძლებელია ერთ ხელში კოვზი გეჭიროს და მეორეში კეტი. ასეთ პირობებში შეიძლება უცაბედად ბუზი ან ბეწვი გადაყლაპოთ, რომლითაც უხვად არის შენელებული აქაური კერძი.

დონჯუან

თავაზიანი

ბერლინელი ვაჭარი იოჰან ლორდინგი ჭკვიანი კაცია. მან იცის სად და როდის სჯობია რაიმე საქმის წამოწყება. ფაშისტური საზოგადოების უგულითადესი წევრია. აქობამდე მას კარაქისა და ყველის, აგრეთვე სხვა გასტრონომიული ნაწარმის სავაჭრო ქონდა. მაგრამ დღეს, უკაცარავად პასუხია, ასეთი ალარ მოიპოვება გერმანიაში და ფაშისტური ფაშის გასაძღომად სხვა ხერხებია გამოყენებული. ამიტომაც განიზრახა მან სხვა საქონლით ვაჭრობას მიჰყოს ხელი, უფრო მომგებიანსა და უტყუარს. კუბოების მაღაზია! ამას რა სჯობია და ლორდინგს ბევრი არ უფიქრია — თავისი გასტრონომია ყველ-კარაქის მაგიერ ორ-სამ დღეში პრიალა კუბოებით აავსო.

მალე განცხადებაც ამშვენებდა ერთ-ერთ ფაშისტურ გაზეთის გვერდს (როგორც ყოფილი გასტრონომი ასეთ განცხადებას ხშირად ათავსებდა ადრე გაზეთში): „ჰიტლერის სახელობის ქუჩაზე გაიხსნა კუბოების ახალი მაღაზია „ჩვენი იმედი“. ვაცნობებთ პატივცემულ კლიენტებს, რომ საქონელი დამზადებულია ახალ და საღ მასალიდან. შეიძინეთ საჩქაროდ. გაყიდვა ცალობით ბითუმად — სახლში მიტანით.

პატივისცემით ლორდინგი“.

ლორდინგმა კმაყოფილებით გადახედა გაზეთს და მკვდრების განცხადებები გადაათვალიერა. დიდხანს არ დასჭირვებია ცდა ლორდინგს. შუადღის ხანს მუშტარი თავისი ფეხით მოვიდა. მაღაზიაში შემოვიდა ლორდინგის ძველი ნაცნობი კაპიტანი ბეხრეკბურგი. გრძელი შავი გალსტუკი ზედ ამოქარგულ ფაშისტურ ნიშნით ლიპამდე უწევდა.

— გამარჯობათ ჰერ ლორდინგ-ბონი და მოწყენილი ხმით მიესალმა კაპიტანი.

— ოო. ჰერ კაპიტან. გუტენტაგ. როგორ გიკითხოთ.

— არა მიშავს.

— რაზე შეწუხებულხართ?

— წავიკითხე თქვენი განცხადება და სწორედ იმიტომ მოვედი — კუბო მინდა.

— თქვენთვის თუ...

— რას მიქარავ, ცოლი გარდამეცვალა.

— ოო. სამწუხაროა. რამდენი გნებავთ?

— როგორ თუ რამდენი, ერთი. ოღონდ კარგი იყოს. მუხის, მაგარი.

— ნუ სწუხდებით ჰერ კაპიტან. ჩვენ საქონელს პირობით ვაძლევთ. სამი წლის ვადას გაძლევთ, რომ თქვენი ცოლი შიგ სრულიად გაუხრწნელი იქნება.

— მიჰქარავ ტუტუცო.

— ვფიცავ ჰიტლერის სახეს. გნებავთ ამოიღეთ მაშინ და ნახეთ. თანაც ეს კუბოც ასეთივე იქნება თუ არა და ჩემს საქონელს უკან დავიბრუნებ. უნდა მოგახსენოთ, რომ მე საქონელს მხოლოდ კარგ ნაცნობ მეგობრებზე ვყიდი, რომ ვასიამოვნო მათ.

— ეს ძლიერ კარგია და მადლობელი ვარ რომ ასე მაფასებთ — კმაყოფილებით წარმოსთქვა კაპიტანმა.

— კარლ! ჩამოიღე აი ის ზევითა კუბო.— გადასძახა ნოქარს ლორდინგმა. კუბო ჩამოიღეს.

— ფასი. — იკითხა კაპიტანმა.

— სამასი მარკა.

— ძვირია.

— მართალია ცოტა ძვირია ჰერ კაპიტან, მაგრამ ხომ იცით, ჯერ ახალი დაწყებული საქმეა და როცა შემდეგში წარმოებას გავაფართოვებ გაცილებით გავაიაფებ. მაშინ რომ მობრძანდებით ამის ნახევარ ფასად მოგართმევთ.

— რაებს ბოდავ ვირის თავო!

— რატომ არა გჯერათ, გეფიცებით თქვენ თავს.

— დაუკელით ცოტა ფასს. ჩვენი კაცი ხარ და პატივი გვეცი.

— რა ვქნა ღმერთმანი. კარგი ორას ორმოცდაათად მიირთვით.

კაპიტანმა რამდენიმე ცალი ქაღალდის მსხვილი ფული ამოიღო და გადასცა.

— თქვენ ხურდა გერგებათ.—უთხრა ლორდინგმა. — მაგრამ როგორ მოგცეთ, როდესაც დახლი ჯერ ცარიელია, მართალია ხურდა არა მაქვს, მაგრამ არა უშავს იმის ნაცვლად აი ამ პატარა კუბოს მოგართმევთ მშვენიერი გაკეთებულია და ლამაზი.

— რას ბოდავ ქოფაკო. პატარა კუბო რად მინდა. — შეუყვირა კაპიტანმა.

— როგორ, ბავშვები გეყოლებათ, დაგჭირდებათ. ყველას საბოლოო გზა ხომ ესაა. მაგრამ რაკი ეს არ გნებავთ აი გვირგვინი მიირთვით. ეს ხომ აუცილებელია. — და ლორდინგმა ჟესტის ფოთლებიანი მუხის გვირგვინი ჩამოიღო.

კაპიტანმა მუშას დაუძახა და კუბო აჰკიდა.

— ნახვამდის კაპიტან. მშვიდობაში. ხშირად მობრძანდით. ნახვამდის. დარწმუნებული ვარ, კარგი ხელის ბრძანდებით, ალბათ ბლომად ვივაჭრებ დღეს.

კაპიტანმა ერთი უკმაყოფილოდ გადახედა ლორდინგს, ველარ მოითმინა და მიაძახა:

— ესეც გაკლია შე ქოფაკო ბარემ მითხრა — ეს ერთი და სხვა ათასი. — და უკმაყოფილოდ გასწია სახლისაკენ.

დონ-პედრო.

მისი თვალსაზრისით



ხულიგანი:—რას ამბობ! სადაური კანონია: ტრამვაიში ჯდომა სამი შაური ღირს და კიბეზე დგომაში სამ მანეთს მახდე ვინებ?!

შემთხვევა სკოლაში

სკოლაში არც ერთი რუკა არ ქონდათ. ძველი დახეულიყო; ახალი ვერ შეეძინათ. მასწავლებელი ამის გამო გეოგრაფიული სახელების ზეპირად აღნიშვნით კმაყოფილდებოდა.

მოწაფეების თავში არაფერი შედიოდა. ეს მიმზიდველი საგანი მათთვის ბოლოს სავსებით ინტერესს მოკლებული შეიქნა.

სასწავლო წელი მიიწურა.

სკოლას არავინ ნახულობდა.

ყველაფერი „თავის რიგზე“ მიდიოდა.

მაგრამ ერთ დღეს სკოლის ეზოს ჭიშკარი განსახკომიდან მოვლინებულმა ინსტრუქტორმა შემოაღო.

ვერავინ იცნო.

— ინსტრუქტორი უნდა იყოს! — სთქვა სკოლის გამგემ — შეუძლებელია! — შენიშნეს მასწავლებლებმა.

— კი! ის არის!

— არა! მოჩვენებაა! ნამდვილი მოჩვენება! — წამოსთქვეს მასწავლებლებმა.

„მოჩვენებამ“, რომელიც მართლაც ინსტრუქტორი აღმოჩნდა, მიუთითა მასწავლებელს თვალსაჩინოების მეთოდის გამოუყენებლობაზე და დაავალა მომავალში აუცილებლად რუკის გამოყენება.

რუკა ახლო-მახლო ადგილებში მაინც ვერსად იშოვეს.

ამის გამო მასწავლებელმა უკანასკნელ „ხერხს“ მიმართა:

მან ცარცით დახატა დაფაზე ის ქვეყანა, რომელიც მოწაფეების მიერ ორი თვის წინად იყო „შესწავლილი“.

დახატა და მოწაფეებს შეეკითხა:

— რა არის ამ დაფაზე დახატული?

— კიტრი! — უპასუხეს ერთხმად მოწაფეებმა.

მედუზა

ᲨᲔᲨᲣᲠᲓᲐᲗ



— ხედავთ, ჰერ, ბოლშევიკებმა ჩრდილოეთ პოლუსზე დესანტი გადასვეს, ჩვენ კი ზომიერ განედშიც არ გვაძლევენ ნებას.

(„ვეჩერნაია მოსკვა“).

ᲜᲘᲐᲜᲒᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙ. ᲒᲖ. ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲨᲘ



— ამხ. ნიანგო, ტელესკოპი უნდა წამოგეღო საინზე კერძის დასანახავად.

ᲜᲘᲐᲜᲒᲘ: — არაფერია, ჩემს საკბილოს ისედაც ჩინებულად ვხედავ.

ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲙᲑᲘᲚᲝ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲪᲔᲖᲐᲠᲘ

კუჭატნის კოოპერატივში სადალაქოა წყობილი. გაყიდველი სოლიკო კავთელაშვილი დალაქობს კიდეც.

ᲭᲘᲙᲝ

ასეთი მარჯვე მუშაკი
ნიანგმა როგორ არ აქოს!..
მარჯვენათი რომ ბრინჯს სწონის —
მარცხენა ხელით დალაქობს.

ᲭᲐᲘ-ᲒᲘᲓᲘ!

სოფ. მეორე ნიგორზღვის (სამტ. რაიონი) დამტარებელმა იასონ გაგუამ გაფლანგა „ნიანგის“ გამოსაწერად შეგროვილი ფული.

ᲥᲝᲮᲔᲚᲘ

მე საკბილოს იქით ვეძებ,
ჯანისთვის რომ სარგოა —
და შენ კი ჩემს ფულებს ყლაპავ,
ჭაი, გიდი გაგუავ!..

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ...

რადიო გვაქვს ქედელებსა
არ იქნება უკეთესი,
დაგვიმუნჯდა, ხმა ჩაუწყდა
თვე იქნება უკვე ექვსი.
ბევრმა სცადა განკურნება,
თავში ურტყეს ქვა და რკინა...
ვინ იქნება გაგვაგონოს
მისი ტკბილი ხმა-ღიღინა?

წია-წია.

რ-ოგორი გაასწრეს?

თბილისის ავტოტრანსის მანქანებს ხშირად ეცვლებათ გასაჩერებელი ადგილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— ავტობუსი გაჩერებას არ აპირებს; არიქა დავეწიოთ!

გაკვრით

წერა მარცხითა და ავარიით

გორის სადგურზე გამოკრულია განცხადება:

„10მაისს საღ. 7 საათზე გორის რ-გზის კლუბში მოწვეულია სა-გორის მუშა-მოსამსახურეთა კრება სადაც დასწრება პ/კავშირის ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

დღის წესრიგი

1. სად. გორის ერთწლის განმავლობაში უმარცხოთ უავარიოთ და უწესოდ მუშაობისა და შემდგომათ მისი განმტკიცების შესახებ.

სად-გორის — ად-მი“.

ვუსურვოთ სადგ. გორის ადგილკომს გრამატიკასთან და წერტილ-მძიმესთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება და საერთოდ უმარცხო და უავარიო წერა, რათა თავისდაუნებურად არ ლამობდეს უწესო მუშაობის შემდგომ განმტკიცებას.

ფიზიკა და კულტურა

ლანჩხუთის ფიზკულტურის სტადიონზე შეჯიბრების დროს მუშტი-კრივი იმართება. ამგვარად, სახელწოდება თავის თავს ვერ ამართლებს: ფიზიკა და კულტურა პროპორციულად ვერ არის შეზავებული. ფიზიკა თავზესაყრელია, კულტურა კი მოისუსტებს.

ეორა

შეიძლება თუ არა?

ხობის რაიონის სოფ. ახალ ხიბულის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ბაკო გვეკითხება:

— შეიძლება თუ არა სასიმინდიდან 70 ფუთი სიმინდი თავისით გამოვიდეს და უგზო-უკვლოდ დაიკარგოს?

— ვინ არის საწყობის გამგე?

— ვარლამ ბასილაია!

— შეიძლება!

კითხვა-პასუხი

კითხვა

უკანასკნელ ხანებში საანგარიშო კრებებთან და ფარულ არჩევნებთან დაკავშირებით ზოგიერთ წარმოებებში კრებები მთელი კვირეობით გრძელდება. წარმოების მუშაკები ღამეებს ათენებენ და საკრებულო დარბაზში მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე დაუსრულებელი სიტყვების კორიანტელი დგას. გეკითხებით ამხ. ნიანგო, რით აიხსნება ეს მოვლენა და რა გავლენას ახდენს საწარმოო გეგმაზე.

პასუხი

კრების უმიზნო გაჭიანურება თვით კრების ხელმძღვანელთა სუსტი ხელმძღვანელობით აიხსნება.

როდესაც მთელი კვირაობით გაგრძელებულ კრებებზე დამსწრე წარმოების მუშაკები ღამეობით ფხიზლობენ, ამას ის შედეგი მოსდევს, რომ მათ მაგივრად ასეთ შემთხვევაში მათი საწარმოო გეგმები იძინებენ.

შეკითხვა

ბერლინის ერთერთ სკოლაში, შევიდა თუ არა მასწავლებელი გაკვეთილზე, ჩვეულებრივ, იმ წამსვე ფაშისტური სახარების კითხვა დაიწყო:

— იცით ბავშვებო, ჩვენს ბელადს გუშინ ოთხჯერ დააცემინა ცხვირი. შეუძლოთ ყოფილა გუშინ ჩვენი ბელადი: სადილად სამი თავი საჭმლის მეტი ვერ შეუჭამია და საღამოს, გვიანობამდე ვერ დაუძინია. ხო, დამავიწყდა მეთქვა: დაწოლის წინ სამ ჭიქაზე მეტი კაკაო ვერ დაუველია, შეზიზღებია და მხოლოდ შვიდ ცალ ბუტერბროდზე გადუვლია წუხანდელ საღამოს.

ამ სიტყვებზე შეაჩერეს მასწავლებელი და მოახსენეს, რომ მოწაფე გუსტს გული წაუვიდა და მიშველება სჭირდება.

მასწავლებელი ადგილიდან არ დაძრულა. მოწაფეებმა მოასულიერეს გუსტი და გარეთ გაიყვანეს.

მასწავლებელმა ცხვირსახოცით მოიწმინდა თვალებზე მომდგარი „ცრემლები“ და ამოიკვნესა:

— საწყალი, ისე შეეცოდა ბელადი, რომ გულიც წაუვიდა!

ერთმა „თავხედმა“ მოსწავლემ საწინააღმდეგო აზრი გამოსთქვა:

— არა, მასწავლებელო, შიოდა და იმიტომ, სამი დღეა არც მე და არც გუსტს არაფერი გვიჭამია.

მასწავლებელმა მდგომარეობა „გამოასწორა“:

— სამი დღე! რა არის მერე სამი დღე?! ნორმალურ ადამიანს, ჯანსაღს, არაავადმყოფს, ორმოც დღეს შეუძლია უჭმელად გაძლება!

აქაც შეეკამათა ვიღაც „თავხედი“:

— ბატონო მასწავლებელო, მამაჩემი ჯანსაღია, ნორმალურიც, არაავადმყოფიც და უმუშევარიც, მაგრამ ოთხ დღეზე მეტს ვერ სძლებს უჭმელად.

მასწავლებელი, რომ არ გამტყუნებულიყო, მთელ ისტორიას მოყვა:

— სცდები ბავშვო, ალბათ არ ყოფილა მამათქვენი ნორმალური, ეტკიება რამე, ავად იქნება, თორემ ორმოც დღეს აუცელებლად უნდა გაძლოს უჭმელად. შორეულ ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკაში არიან ტომები, რომლებიც მთლად შიშვლები დაიარებიან. იმ ხალხს, ბავშვებო, აზრადაც ვერ მოუვათ ისეთი კვება, ჩვენ რომ გვაქვს. იქ არც სპეციალური ტალონებით იშოვება სურსათი და არც ფულით. დღედაღამ ტყე-ტყე დაეხეტებიან იქაური მცხოვრებლები და მხოლოდ მაშინ ძღებიან, როცა რაიმე გარეულ ცხოველს წააწყდებიან და მოკლავენ. იმ ხალხს, ბავშვებო, ასეთი ცხოვრების შედეგად, ხშირად, მთელი კვირაობით უხდებათ დამშეული მუცლით სიარული...

ეჰ კი ერთმა მოსწავლემ ყოველგვარ „სითავხედეს“ გადააჭარბა და მასწავლებელს ჰკითხა:

— უკაცრავად ბატონო მასწავლებელო, ერთი კითხვა მაქვს: დიდიხანია, რაც იმ ქვეყანაში ფაშისტური ხელისუფლება არსებობს?

ბია.

ნახ. მ. ლებეშევის

ბრძოლა ტახტებისათვის თბილისის აბანოში

ნიანგი ჭიათურაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუზმე

ჩვენი ჩანგალ-მარშრუტი შორაპნიდან დაიწყო. სადგურის ერთერთ ოთახიდან ინვალიდ ძაღლების ბანდა გამოვიდა; მათ წინ სამფეხა პოინტერი მოუძღოდა.

— ამ ოთახში ბუფეტი იქნება უთუოდ! — მოგვმართა ნიანგმა — შევიდეთ, ვისაუზმოთ...

— რა გაქვთ? — ვკითხეთ ბუფეტის თანამშრომელ ქალს.

— რას ინებებთ, ბატონო?

— ცხელი რამ მოგვიტანეთ...

— ცხელი არაფერი გვაქვს, ბატონო.

— მაშ ცივი რა გაქვთ?

— ჩაი, ბატონო...



საჭმელებით „უხვი“ შორაპნის სადგურის ბუფეტი კონიაკით გაგვიმასპინძლდა: — სხვაზე უფრო ეგ გასწევს ცხელი ჩაის მაგივრობასო.

შორაპნის სადგურის ბუფეტის გადამკიდენი უსაუზმოდ დავრჩით, მაგრამ მაინც არ გვწყენია, რადგან ნიანგს შემთხვევით სხვა გემრიელი საკვები ვუშოვნეთ.

ტარასკონელის აქლემი

— გავაპრიალო, ხაზეინ? — ბუფეტიდან გამოსვლისთანავე ფეხებში გვწდა ჭიათურის რაიფეხსაცმელმწმენდავი ნახშირა. მას მხარზე

ფეხსაცმელების საწმენდი ყუთი ეკიდა და ზედ ჩოთქებით კომპოზიტორ ბეთხოვენის მეცხრე სიმფონიას უკრავდა.

ყურადღება არ მივაქციეთ.

— ჩოთქს მაინც არ გადამასმევინებთ? — ტარტარენ ტარასკონელის აქლემივით აგვეკიდა ნახშირა.

— მაგისთვის სად გვცხელა. ჭიათურისაკენ მიგვეჩქარება. შენიშნა ნიანგმა.

— რო წამოვიდე ხაზეინ, იქ მაინც არ გადამასმევინებ? და ნახშირა თან ამოგვყვა მატარებელში...

მდინარე ყვირილას გვერდით მატარებელი ქშენით შეუდგა ალმართს. მდინარის სიშავით გაოცებულმა ნიანგს ვკითხეთ:

— რად არის ეს მდინარე ასე შავი?

ამ კითხვისთანავე ჩვენს გვერდით მჯდომმა, ფეხსაცმელების მწმენდავმა ნახშირამ კივილი მორთო და თავში ჩოთქები წაიშინა. გაოცებული ხალხი გარს შემოეხვია მოვაივიშე ნახშირას.

— რა დაგემართა?! — გაოცებით ვკითხეთ ჩვენ.

— ვაიმე ხაზეინ... დავიღუპე, რაღა ვქნა, სადღა გაჩერდება ახლა მატარებელი. სადღა ვიშოვნი მუშტარს?!

— ჭიათურის ტანკია წამოულია წყალს, ხაზეინ!..

— საიდან შეიტყვე?

— ვერა ჰხედავ, ხაზეინ, რამდენი ნაგავი და უსუფთაობა მოაქვს ამ წყალს? — თქვა ნახშირამ, ცრემლები ფეხსაცმელების საწმენდი ხავერდით მოიწმინდა და ღიმილით შემოგვძახა:

— გამაპრიალებინებთ, ხაზეინ?..

„რემონტშია, მოქალაქენო“..

ჭიათურაში ჩასვლისთანავე სასტუმროს მივადექით. აქაურ კინო-თეატრის მშენებლობის საქმესავით არეულდარეული იყო სუყველაფერი.

სასტუმროს კომენდანტი კარებში გამოგვეგება ღიმილით:

— რაზე შეწუხებულხართ?

— ბინა გვინდა.

— აქ სასტუმროა, ბინას ვინ მოგცემთ! — იკითხა გაოცებულმა კომენდანტმა.

— რატომ?

— ოცდაათამდე ოთახი გვაქვს და ყველა რემონტშია.

შემდეგ მან თავი მიგვანება და ვიღაც გამვლელს დაუწყო ლაპარაკი.

— ოთახის ერთი კუთხე მაინც მოგვეცით, ოღლად წავალთ.

— რემონტშია მოქალაქენო!

— ტახტი მაინც გვათხოვეთ. დერეფანში დავიძინებთ.

— რემონტშია მოქალაქენო!

— მაშ მარტო საბანი მაინც გვათხოვეთ. სახურავზე ავალთ და დავიძინებთ, ზაფხულია, არა უშავს.

— რემონტშია მოქალაქენო.

— სასტუმროს გამგეს მაინც ვერ ვნახავთ?

— რემონტშია მოქალაქენო.

— რემონტშია მოქალაქენო. — უყურადღებოდ მოგვიგო მან.

დირექტორი „სენ-სიმონი“

დაიწყო პროტექციის ძებნა. სასტუმროში დიპლომატიური გზით ბინის საშოვნელად. ქალაქკომი, რაიალმასკომი, განათლების განყოფილება და თვით აფთიაქის გამგეც კი არ დაგვრჩენია უნახავი.

— მაგ საქმეს ბანკის დირექტორის სიმონ სიმონიშვილის მეტი ვერავინ მოგიგვარებთ! გვითხრა კოოპარტელ „ძალა ერთობაშიას“ თანამშრომელმა.

— როგორ, ნუ თუ მას ამდენი უნარი შესწევს?!

— ოო, რომ იცოდეთ ახალგაზრდებო! ეგ კი არა, სიმონს შეუძლია ერთ მშვენიერ დღეს მთელი სასტუმრო, მისი გამგიან სტუმრებიანად თავისუფლად მიგილანძღოთ და მიგიბეგვოთ. ეგეც არ იყოს, ნუ შეუსრულებთ თხოვნას თუ ბიჭი ხარ. — გაბრაზდება, სიჯიუტის სახედარზე შეჯდება და სამ თვეს ფულს არ გაღირსებს. ელსმენით დაურეკეთ და სთხოვეთ რომ მისი ნახვა გნებავთ, თორემ გაუფრთხილებლად თუ მიხვედით, შეიძლება თავისი თანამშრომლები ეგონოთ და ლანძღვა-გინებით უკან გამოგრეკოთ.

რეჟისორული ხუმრობა

პერევისის მალაროსაკენ მიმავალ ალმართს შევუდექით. ერთი მოხუცი ძველი მემალაროეტაატით მოგვყვებოდა უკან. ზურგზე წყვილი ვენური სკამი ჰქონდა წამოკიდებული და მოღიღინობდა.

— რა მიგიცია ძმობილო სკამებში!

— ვინ იცის, ამ სკამის ხნის, შავი ქვაც ალარ დაგორავს ჭიათურაში. ეჰ, თქვენ რომ იცოდეთ რამდენი დავიდარაბის მომსწრენი არიან ეს სკამები!

— რატომ, სკოლის სკამები ხომ არ არის?

— არა, სახლიდან მომაქვს. ბევრჯერ გადარჩნენ დამტვრევას და ამაღამ არ ვიცი რა მოუვათ!

— რატომ? „რაიორსის“ პურის წერტში ხომ არ მიგაქვს?

— არა, პერევისის მაღაროს კლუბში. რაც სკამებია ჩვენი პროფკავშირის მუშაკებს არ ყოფნის და...

გზა განვაგრძეთ. მაღაროებს აქეთ მომცრო ტანის მოქალაქეს ერთი კოლმეურნე დაეჭირა, ჩოხის კალთაში ჩაევლო ხელი და ექაჩებოდა.

— არიქა, კაცს ‘ძარცვავენ! — დაიძახა ნიანგმა და ჩანგალმოღერებული ბოროტმოქმედების ადგილისაკენ გაექანა.

— ასწით ხელები!— დასჭყივლა ნიანგმა და „ავაზაკს“ ხელები მაღლა ააწევინა. — როგორ ბედავ შუადღისას გზაზე მგზავრების გაძარცვას, დაუბრუნე ჩოხა პატრონს ჩქარა!

— შენ გენაცვალე, ამხანაგო ნიანგო, მე ყაჩაღი არ გეგონო, იანგო ვარ, აპტალიდი, ჩვენი მაღაროს კლუბის დრამწრის ხელმძღვანელი, უდოტაციობის გამო გარდერობზე ღარიბად ვართ და იძულებული ვხდებით ასე ვინათხოვრო ყოველთვის...

ლიტსაკვირველება

მაღაროს მივადექით.

— შიგნით უნდა შებრძანდეთ ამხანაგებო?!

— გვკითხა მაღაროს მუშამ.

— დიახ, მივუგეთ: ჩვენ.

— თქვენ მწერლებს ჰგავხართ და როგორ მოხდა, რომ მაღაროში შედიხართ?!

— რატომ, განა მწერლები არასდროს შესულან მაღაროში?!

— რა ბრძანებაა, რამდენჯერ დავპატიჟეთ, მაგრამ უარი განაცხადეს, „არ გვცალიაო“ — ამბობდნენ, ყოველთვის: რომანებს ვწერთო შემაღაროელთა ცხოვრებიდანო.

ჭიათურის ქრონიკა

რეკორდი.

პერევისის მაღაროების ადმინისტრაციამ ერთი წლის განმავლობაში 368 დადგენილება გამოიტანა შავი ქვის გამომზიდავ მუშებზე სპეცტანსაცმელების დარიგების შესახებ.

ქესატი „დღესასწაული“

ჭორეთის არასრულ საშუალო სკოლის მასწავლებელმა, „მუკის“ აქტიურმა წევრმა ანდრო ქამუშაძემ, წელს, საალდგომოდ ორმოცდა სამ წითელ კვერცხზე მეტი ვერ შეაგროვა მოსწავლეებისაგან.

სვერელი ასფურცელა

სოფ. სვერის სკოლის გამგემ, ნუნუკა[illegible]ზარხოშებულმა ვალოდია ძაძამიამ სოფლის კეთილმოწყობისა და გამწვანების მიზნით დაანგრია მხოლოდ 19 საჟენი ყორე და მოთხარა ოცდაჩვიდმეტი ძირი მწვანე ნარგავი.

ნათლისღება.

სოფ. პერევისაში სასოფლო საბჭოს აქტიური დახმარებით წელს მონათლულ იქნა 56 მცირეწლოვანი ბავშვი და ადგილობრივ „მუკის“ ორგანიზაციის თავმჯდომარე.

„უებარი“ საშუალება

მაღაროში შევედით. ჯერ კილომეტრნახევარიც არ გვქონდა გავლილი, რომ მძინარე მუშებს წავაწყდით.

— ჰაი თქვე ზარმაცებო, სიმულიანტებო!— შესძახა ნიანგმა მძინარე მუშებს და ჩანგალი მოიმარჯვა.

ამ დროს ერთმა მათგანმა გაიღვიძა, წამოდგა და გაღვიძება დაუწყო დანარჩენ მუშებს.

— რა? მოვიდა ასე ჩქარა?! — ამბობდნენ მუშები და ნელნელა იღვიძებდნენ.

— არა, არ მოსულა! ნიანგი მოვიდა!—ყველას სათითაოდ უხსნიდა გამღვიძებელი.

— ვინ იყო მოსასვლელი? — ვიკითხეთ ჩვენ.

— ვაგონები, ამხანაგებო, ვაგონებს ვუცდით. მოგეხსენებათ, ტრანსპორტის ნაკლოვანებას განვიცდით და რასაც ვანგრევთ, ნახევრის გატანასაც ვერ ვასწრებთ.

— მერე, ადმინისტრაცია რას შვრება ამის გამო?

— კრებებს იწვევს, ამხანაგო ნიანგო, დადგენილებები გამოაქვს...

კიდევ ნახშირა

მატარებელში ჩავსხედით და შორაპნისაკენ გამოვემგზავრეთ. ჯერ ერთი სადგურიც არ გვქონდა გამოვლილი, რომ ვილაცამ ნიანგის ორივე თანამოლაშქრეს ფეხსაცმელები გაგვაძრო. მოიპარეს ჩვენი ფეხსაცმელები, წაიღეს, ველარსად ვნახეთ.

— ჰაი თქვე ფინაჩებო! — შეგვიტია ნიანგმა და დანაკარგის ძებნას შეუდგა. მცირე ძებნის შემდეგ ვაგონის სკამის ქვეშიდან ფეხსაცმელების მწმენდავი ნახშირა გამოათრია და ჩვენი ფეხსაცმელები გამოჰგლიჯა ხელიდან.

— მაცადეთ, ჯერ არ გამიპრიალებია ხაზეინ! — გაიძახოდა იგი და „მოპარულ“ ფეხსაცმელებს ჩოთქს უსვამდა.

ა. ყაზბეგის (?) „რაც გინახავს“...

ჭიათურიდან დაბრუნებისას, შორაპნის სადგურზე ასეთ აფიშას მოვკარით თვალი:



აფიშას რომ ვკითხულობდით და ვიცინოდით ვილაც შორაპნელმა მოქალაქემ ეჭვი აიღო, სასწრაფოდ მოვარდა, აფიშა ჩამოხია და მოგვიჭრა:

— რაც გინახავს ველარ ნახავ!

— აპატიოს ნიანგმა, რამე თუ არ იცოდენ რას სჩადიოდნენ. — ვთქვით ჩვენ და ვინაიდან გვეჩქარებოდა ბათუმ-ბაქოს მატარებელს ალარ დავუცადეთ, პირდაპირ ფეხით გამოვსწიეთ თბილისისაკენ...

დონ-კიხოტი და ყარაგიოზა.

დასვენების დღეს

დასვენების დღეა. ზარი დაირეკა, — ალბათ სტუმარია. — სთქვა ცოლმა.

— როგორ კარგად ყოფილხართ! — სთქვა ჩემი ცოლის რძლის ნათესავის მოყვარემ ივლიანემ, რომელიც სტუმრად ჩამოვიდა ჩვენსა.

— ბოდიში, რომ ბევრი ვერაფერი წამოვიღე სოფლიდან, მაგრამ ვიცი თქვენი ხასიათი არ გეწყინებათ. — ნელი ხმით სთქვა ივლიანემ და გაცვეთილ ხურჯინიდან უდღიური შემწვარი წიწილა ამოიღო.

— მწყერი, მწყერი ჩამოუტანია დედა! წამოიყვირეს ბავშვებმა.

— მწყერი კი არა ვარიაა ბიძიებო. დედლები, ინდოურები, გოჭიც კი დაკლა ჩემმა დედაკაცმა, მაგრამ დამრჩა სახლში. არა უშავს მე ერთი თვე აქ ვიქნები და მანამ ისიც ჩამოვიისწრებს.

— უკბრავად, მაგრამ ეს თქვენი თანხლები სტუმრები რატომ არ გამაცანით?

— გაიცანით, ეს გახლავთ გიორგის ქვისლი, ეს ანტიკას სიდედრია, ეს ლუკას დეიდაშვილი — საექიმოთ ჩამოვიდნენ, მადლობა ღმერთს ბინა კარგი გაქვთ.

— ასე იყო თუ ისე, დავბინავდით. სტუმრებმა შეისვენეს, შენაყრდნენ, თვალიც მოატყუეს. მეც დასვენების შემდეგ ივლიანე წავიყვანე ქალაქში.

ხიბლავს ივლიანეს კალიაევის აღმართი, ჩელიუსკინელების ხიდი, სანაპირო ასფალტირებული ქუჩები, პარკები და სკვერები, მოედნები, მრავალი ახალი სახლები.

— დიდებული ქალაქია! გამოცვლილა ყველაფერი. — სიხარულით სთქვა ივლიანემ და ახლად გახსნილ მაღაზიასთან გაჩერდა.

— გამიშვით, დამეხმარეთ. — მოისმოდა ხმა მაღაზიიდან და ნახევრად შიშველი კაცი გამოვარდა კარებში.

— ეგ რა ამბავია?

— არაფერია, ჩემო ივლიანე, მყიდველს საპერანგე უყიდია. მაღაზიაში უწესრიგობის გამო მყიდველს ტანზე პერანგი შემოახიეს. რა უჭირს ახალს შეიკერავს და ჩაიცვამს. ივლიანეს არაფერი უთქვამს. მაღლა აიხედა და აბრაზე წაიკითხა:

„ბამბეულის მაღაზია“.

* * *

ყოფ. მუშტაიდიდან რომ გამოვედით, ჩვენს წინ ტროლეიბუსი გაჩერდა.

— აი ეს ტროლეიბუსია.

ივლიანეს ძალიან მოეწონა ტროლეიბუსი. ჩავჯექით. კარგა ხანი იდგა ტროლეიბუსი უძრავად. მოთმინებიდან გამოსული მგზავრები აუმხედრდნენ შოფერს.

— რა გაშფოთებთ ძმებო! მე ცხრილის მიხედვით დავდივარ, ჯერ ადრეა. — სთქვა შოფერმა. — თუ გეჩქარება, ჩამობრძანდით და ფეხით წადით.

* * *

ავედით თბილისმრეწვის ლუდის სავაჭროში — მეორე სართულზე.

— მოგვიტანეთ ლუდი.

— არა არის.

— ლიმონათი?.

— ლიმონათიც არ არის. — ხელად მოგვიჭრა ოფიციანტმა.

ეს კი ვერაფერი შვილია — იწყინა ივლიანემ. და იქეთ აქეთ გაიხედა, სავაჭროში მუხლამდე ნაგავია, გამოველით თუ არა გარეთ, ივლიანემ ბლოკნოტი ამოიღო და ჩაწერა:

„თბილსოფმრეწვი“. (პლეხანოვის № 111).

— აქ ასეთი ჩვეულება აქვთ: ზამთარში ბევრია წყალი, ზაფხულში კი სოფლმრეწვი არ იწუხებს თავს. — დავამშვიდე ივლიანე.

* * *

— ტფ... დალახვროს განგებამ, სოფელში არ ჩავვარდნილვარ ტალახში, აქ კი დავისვარე. — გაცხარდა ივლიანე.

— სოფლის ტალახი სულ სხვაა ჩემო ივლიანე, ეს ტალახი კი ხელოვნურად გაკეთებულია ორჯონიკიძის რაისაბჭოს მიერ. აქ ტროტუარებსაც ისე აკეთებენ, რომ წვიმის დროს ხელოვნური ტბაც კი ჩნდება ხოლმე.

დავიღალეთ. დავისვენეთ კომუნარების ბაღში.

რა დიდებული ბაღია, მაგრამ...

— მაგრამ რა?..

ახალი „წმინდანი“

ქვემო-ლიჩის სკოლის გამგემ აკაკი სარალიძემ მონათლა თავისივე სკოლის შერჩეული კლასის მოწაფე ეთერი ლომაძე.



ჭიათურის რაიგანათლების განყოფილების მიერ „სრულიად ჭიათურის“ რაიკომალიკოსად კურთხებული, მოციქული ღვთისა და მპყრობელი ლიჩის საბჭოთა სკოლისა

„წმ.“ მამა აკაკი სარალიძე

ივლიანე არაფერს ამბობს, მე კი მივხვდი, რომ ის საყვედურობდა ამ ბაღის მოუწყობლობაზე, არავითარი გასართობი ამ ბაღში არ არის.

* * *

უკვე დაღამდა. კინო ლიუქსენბურგის წინ ვდგევართ.

— „ნარინჯის ველი“ გინახავს?.

— არა?..

— აბა ვნახოთ. — და სალაროსაკენ გავიწიეთ. გავიწიეთ. ვაი ამ გაწევას, ატყდა რიგში მდგომ ხალხის ჩოჩქოლი, არ გაუშვათო, ივლიანემ მომხედა — არ მინდა ძმაო, შინ წავიდეთ. — სთქვა გაოფლიანებულმა.

* * *

— სახლში ადრეა ივლიანე. ორჯონიკიძის კულტურისა და დასვენების პარკში წავიდეთ. კარგი პროგრამაა! წავიკითხეთ. დღეს ესტრადაზე გამოვა 400 კაცი.

ვიყიდეთ ბილეთები. შევედით პარკში, მაგრამ ოთხასი მსახიობი კი არა არც ერთი არ გამოსულა. ნაცვლად კი ბაღში ჩხუბი იყო. მილიციელი გულხელდაკრეფილი იდგა და ღიმილით უცქეროდა ხულიგნებს.

— გეყოფა აწი, მეძინება, — დაეინებით სთქვა ივლიანემ. გავეშურეთ შინისაკენ. სახლში მის მიერ ჩამოტანილ ვარიას ექვსი სტუმარი და ოთხი მასპინძელი შეეექეცით. ნაწილი კი დილისათვის მოვიტოვეთ სასაუზმოდ.

ნახულით და განაგონით ნასიამოვნებმა ივლიანემ მალე ხვრინვა ამოუშვა.

ივანიკა

სამი „გმირი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუქან საკბილოს გიგზავნი
„ნიანგო, გწამს — გიამება,
მინდა მოგიძღვნა საჩუქრად
კარაქტრესტელი სამება.

—

ვარამაშვილმა, რომელიც
მტრის კვალზე იყო მავალი,
ბევრი დასტოვა კვლავ ტრესტში
მავნე და ქვეწარმავალი.

—

რასაც საკბილოდ გიგზავნი,
ვფიქრობ, ეს — ზღვაში წვეთია,
მაგრამ ჭაშნიკად იკმარებს,
კვლავ მოგერთმევა მეტია.

—

პირველ საკბილოდ ინებე
გაქნილი, როგორც მელია,
თვით მოსე ვინაც ტრესტისა
ყოფილი ხელმძღვანელია.

—

მას მიმდევრები სხვებიც ყავს
კვლავ არ იშლიან მელობას,
მოსეს „კადრები“ მოსეს გზით
ცდილობენ „ხელმძღვანელობას“.

—

ფას, დამზადება მათებრი. —
იმათ „აგვავსეს“ ბარაქით.
ყელამდი „ვცურავთ“ იმათგან
დამზადებული კარაქით.

—

ყველი ხომ... ვარამაშვილის
ამ მეგობებს და სვინასა
კარგი იქნება გოდორში
რომ მიუჩენდე ბინასა.

—

დირექტორი ყავს ქარხანას,
ვარამაშვილის ფინია;
მიღწევები აქვს „ბრწყინვალე“
და ბედის კმაყოფილია.

—

ელიოზიშვილს უხმობენ
ამ ვაჟბატონსა გვარადა,
ვინც მოსეს რამე შეჰკადრა,
ყველაზე არის მწყრალადა

—

მესამე „გმირი“ — ლომიძე
სავაჭრო სექტორს განაგებს,
ის კვლავ თუ შერჩა კარაქტრესტს —
მოსპობს და გააჩანაგებს,

—

სამივეს პორტრეტს გიგზავნი“
„კოხტა“ და „მშვენიერია“,
სამივე „გმირი“ შეწყობით
მღერდენ და კვლავაც „მღერიან“.

—

მღერენ და „იადონები“
გადააჩვიე მღერასა,
კვლავ სხვებსაც გიძღვნი, ნიანგო,
შენი საკბილოს წერასა.

ქაქუჩელა

მწარე ფიქრები

ნახ. ო. შმერლინგის



— დირექტორი მანქანის მართვას აპირობს, მშვიდობით ჩემო საყვარელო ცოლო და შვილო!..

დამშვიდებული

ყოველ თვეში, როცა დახარჯული წყლის გადასახადი მოვა, ჩვენს ეზოში აუცილებლად აყალ-მაყალი და ჩხუბი უნდა ატყდეს ჩვენი სახლის დიასახლისებს შორის.

— მე არ ვხარჯავ ბევრ წყალს და რატომ მახდევინებთ ამდენს?

— რავა, მეც პასიკოს ოდენი უნდა გადავიხადო წყლის ფული?

— შენ ბევრ წყალს ხარჯავ, მე კი — ცოტას!

— შენ სხვის სარეცხსაც რეცხავ ჩვენი ეზოს წყალით!

— მართას ყოველდღე სტუმრები ჰყავს და ბევრ წყალს სვამენ!

— ჩემსავით ცოტა წყალს არავინ ხარჯავს, ჩემსავით არავინ ეწევა წყლის ეკონომიას. თვეში ერთხელაც არ დავიბან ფეხს, რომ ბევრი წყალი არ დაიხარჯოს. ესენი კი მგონი ყოველდღე იბანენ ხელსა და პირს. ხელსა და პირს ვინ ჩივა, მგონი ჟვირაში ორსამჯერ იბანენ ფეხებსა და თავს.

— ერთი თვის სარეცხი მიწყვია გაურეცხავი. თებრონე კი წარა-მარა რეცხავს. რავა, მეც მასავით უნდა გადავიხადო სულადობის მიხედვით წყლის ფული?

— და ვინ იცის კიდევ რას არ ამბობს ჩვენი სახლის ზოგიერთი დიასახლისი.

ამ ლაპარაკის ძლიერება და შინაარსი იმაშია, რომ იგი ხშირად გადადის ფიზიკურ გამოვლინებაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთმანეთს თმებში წვდებიან და მუშტებსაც არ აკლებენ.

*
* *

— შენ სახლის რწმუნებული ხარ, — მითხრა ერთ დღეს ჩემმა მოხუცმა მეზობელმა, რომელიც პენსიას ღებულობს. თანაც მოსწრებული შვილები ჰყავს და ყოველმხრივ უზრუნველყოფილია. — კი ხედავ, რა გაუგებრობა და უბედურება ხდება წყლის გადასახადის განაწილება-აკრეფაზე. დღევანდელი ამბავი განა პირველი იყო და უკანასკნელი იქნება! გინდა ეს საქმე ერთხელ და სამუდამოდ მოვაგვარო?

— გიგო, შენ თუ მაგ სიკეთეს იზამ, ჩემზე იყოს პატივისცემა.

— არავითარი პატივისცემა, მე ძველი ბუხჰალტერი ვარ. ისე ზუსტად ვიანგარიშებ და გავანაწილებ, რომ ეჭვი არავის შეეპარება. წყლის ფულის განაწილებას რა დიდი საქმე უნდა, როცა ტრესტების ბალანსებს ვადგენ, ორმაგი და სამმაგი იტალიური ბუხჰალტერია ისე ვიცი, როგორც ჩემი სამი თითი. აი უკვე ჩვენი მდგმურების ცხრილიც შევადგენე, რომლის მიხედვითაც იწარმოებს წყლის ფულის შეკრება. — და გიგომ გადამიშალა რუკის ოდენა ცხრილი ათასგვარი უჯრედებით, ხაზებით, მუხლებით და შენიშვნებით. ყველა მდგურთა გვარი, სახელი, მამის სახელი და წლოვანება ჩამოეწერა.

— გიგო, ასე ზუსტად როგორ გაიგე ჩვენი მდგომარეობის ვინაობა?

— ორ თვეზე მეტია რაც ამაზე ვმუშაობ. ერთ ალაგას სახელის ადგილი გამოტოვებული იყო და ასე ეწერა:...

„ბეგლარის-ძე გამეზარდაშვილი“.

— ვინ არის ეს? — ვკითხე გიგოს.

— ეს არის ბეგლარის შვილი, რომელიც ამ დილით შეეძინა. ჯერ სახელი არ დაურქმევიათ ბავშვისათვის და მიტომ არის ცხრილში ასე შეტანილი.

მე გამეცინა.

— ტყუილად იცინით. ეს დღეს დაბადებული მოქალაქე სრულუფლებიანი მოქალაქეა

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ

ᲐᲚᲛᲝᲩᲔᲜᲐ

მოქალაქ. ფირფიტო ლიღინაძემ „მუსტრესტში“ იშოვნა პატეფონის სამი ცალი ნემსი. კვლევაძიება სწარმოებს.

ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲢᲐᲮᲢᲘ

მოქ. ათფუთ წონისკაცს მეათე დღეა, რაც მშვიდობიანად უძლებს „საქავეჯის“ მაღაზიაში შეძენილი ტახტი.

ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ

მოქალაქე ბარათა ლოდინაძემ გამოგზავნის დღესვე მიიღო დიღომიდან თბილისში გადმოცემული დეპეშა.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ

გეოფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომელმა ჩვენს კორესპონდენტს ზუსტად უწინასწარმეტყველა გასული დღის ამინდი.

„ᲫᲕᲘᲤᲐᲡᲘ“ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

მექისეების ადგილკომმა აბანოს შიკრიკი სკუპდარიკაშვილი ნახმარი „მაჩალკით“ დააჯილდოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის ფულის გადახდაში. მე თუ მკითხავთ, მან სხვებზე მეტი უნდა გადაიხადოს. ჯერ ერთი: ყველაზე მეტ წყალს მაგ დახარჯავს, და მეორე — მაგისი მშობლები რამდენიმე ათას მანეთს მიიღებენ მთავრობიდან მაგისი დაბადების გამო, რადგან მაგ მეშვიდე შვილია.

— არც ბათლომე დაგვიწყებია. კაცი ასოცი წლის არის და დღეს თუ არა, ხვალ მოკვდება, ლოგინად არის ჩავარდნილი.

— თუ მოკვდება, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. აი ცხრილის ამ უჯრედში ჩაიწერება: „გარდაცვალების გამო განთავისუფლებულია წყლის ფულის გადახდისაგან“ ამა და ამ თვეში. მანამდის კი, ნურასუკაცრავად, უნდა გადაიხადოს. ამ თვეში ჩვენმა ეზომ უნდა გადაიხადოს წყლის ფული 27 მან. 31 კაპიკი.

— ეს შენ საიდან იცი, გიგო?

— დღეს ვიყავი წყალტრესტში და აჰა ოფიციალური ცნობა.

მართალია არავის დაუვალებია, მაგრამ... ჰოდა, ვინაიდან ჩვენ გვყავს 97 მდგმური, თითოეულ მათგანზე მოდის... და აქ გიგომ საანგარიშო ჩოთქი ამოიღო უბიდან და ისე აათამაშა მისი კოჭები, ისე გაჰკრა-გამოჰკრა მათ, როგორც ვირტუოზი დამკვრელი ათამაშებს თითებს როიალის კლავიშებზე. — თითოეულ მათგანზე მოდის 28 კაპიკი და... დაიცა, ამ წუთში გიანგარიშებ ნაწევრებს... — და მან ჯიბიდან ამოიღო ციფრებიანი პაწია სქელი წიგნაკი. — აი ლოგარითმებისა და პროცენტებს ცხრილით ვიანგარიშებ ნაწევრებს — და გიგომ წიგნაკში ძებნა დაიწყო. — მაშასადამე, 28 და 15/97 კაპიკი მოდის თითოეულ სულზე.

— კი მაგრამ, გიგო, ბალე მოგბეზრდება შენ ასეთი სადავიდარაბო საქმე.

— შენ არ მომიკვდე, მეტი რა საქმე მაქვს. მიჩვეული ვარ-ანგარიშიანობას, ბუხჰალტერიას. საქმე არ მაქვს, ვერ გავძელი. ჩვენებს რომ შინამოსამსახურე არ აეყვანა, კიდევ არა მიშავდა, სურსათში დახარჯულ ფულს ვანგარიშობდი და ამით ვირთობდი თავს. ახლა კი ეს უკანასკნელი საქმეც ჩამომაშორეს. წინათ იყო და კაცი რიგებში მაინც მოკლავდი დროს, ანდა პურის წიგნაკების რეგისტრაციაში, ახლა ესენი არც ერთი არ არის. რამდენიც გინდა, იმდენია ყველაფერი. პენსიის მისაღებადაც კი აღარ არის რიგი. მიხვალ თუ არა, მაშინვე შემოგაჩრიან ფულს ხელში. მოდი და ამის შემდეგ ნუ მოგწყინდება კაცს! სულელი ჩემი თავი, იმას ვნატრობდი — როდის მეღირსება, მოვხუცდები პენსიაში გავალ და თავს დავანებებ ამ ოხერ ბუხჰალტერიას, რომელიც კაცს ფიტავს და აკრეტინებს-მეთქი. თურმე რა საყვარელი ყოფილა ეს ბუხჰალტერია!

ახლა კი ჩვენს ეზოში წყლის ფულის განაწილება აკრეფაზე არავითარ უსიამოვნებას არა აქვს ადგილი. ყველა დამშვიდებულია, და ყველაზე უფრო — გიგო, ძველი ბუხალტერი.

ᲒᲐᲤᲘ

ორი „რეკორდი“

ნახ. ვ. ყანდელაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანელი ოფიცერი: — ჩვენმა მეგობრებმა, იტალიელმა ფაშისტებმა ამ უკანასკნელ დროს ფრენის ორი რეკორდი დაამყარეს: ერთი ჰაერში და მეორე ხმელეთზე — გვადალახარადან უკან დახევის დროს.

ს ე მ ა ფ ო რ ი

ლ ო თ ი-ფ ო თ ი

სადგურ ბოსლევის მორიგემ ქავთარაძემ მიატოვა სამუშაო და ღვინის სასმელად წავიდა.

შენ ქავთარაძევ, „გუბგო“
თავსა ყოფილხარ გასული
მე რომ სადგურში მგონიხარ
სასმელადა ხარ წასული.

გურჯაანელი ზაქიქლაპია

რკინიგზის სადგურის ბუფეტის გამგე (გურჯაანი) ავალიშვილი ბაზიდან მოსულ ერთმანეთიან და 8 კაპიკიან კილო თევზს 3,4 მანეთად ყიდის.

აქ მოსულ თევზს „ჩვენი“ გამგე
თვითნებურად აფასებს,
მალე იგი თავს მოუყრის
ფულებს მრავალ ათასებს.

ასეთ გამგის ოინებით
ხალხი უმადურია,
ნიანგოჯან, აუწიე
ჩარჩს ორთავე ყურია.

ძნელოღლი

„ფხიზელი“

№ 68 მატარებლის კონდუქტორმა ტარასი ნიკურაძემ სიმთვრალის გამო ქალაქ მახარაძეში მისატანი ბარგი ბათუმში ჩაიტანა.

ეს ტარასი ხშირად ბარგის
თესვაშია დაგეშილი,
იმიტომ, რომ შრომის დროსაც
ღვინოთია გალეშილი.

სიქთარვული სასწაული

მეორე კვირა სრულდება, რაც სოფ. სიქთარვის (ჩხარის რაიონი) კოლმეურნეობის მოანგარიშეს პავლე ცხადაძეს არავინ გაულახავს.

სიქთარველი.

გულშემატკივარი

საჯავახოს (სამტრ. რაიონი) ექიმს ფიცხალავას ერთი მოხუცი კოლმეურნე ავადმყოფისათვის ოთხ თუმანზე მეტი არ გამოურთმევია გასინჯვაში, რადგან ავადმყოფი მოხუცებულობის გამო ძალიან შეეცოდა.

ქოხელი.

საფოსტო საოცრება

საჯავახოს საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გუშინ მიიღეს გასული წლის დეკემბრის გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომერი.

პანჩო

დამხმარე საზოგადოება

ოსიაურის (ხაშურის რაიონი) კოოპერატივთან ჩამოყალიბდა ღვინოში დამხრჩვალთა დამხმარე საზოგადოება. საზოგადეობის ხელმძღვანელია კოოპნოქარი მ. ენჯიბაძე.

ლოთი.

საღგურ ნავთღულის სემაფორთან ანუ „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“



— მოიღე მოწყალება: შემვმიშვი. ორი საათია, რაც შენს კარებთან ვდგავარ!..

მუდმივი განცხადება

(ქუთაისის პედინსტიტუტი)

ნახ. მ. ლებეშევის

— არ ენდო მაგ განცხადებას: მთელი წელიწადია მაგრეა მარმარილოს ფიქალივით გაკრული, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის!..

გ ო დ ო რ ი

ილიკო დურსუნოღლიშვილს: იწერებით:

ძია ლიანგო ჩემ ოცნებაში
მე ბრევლი ფხარე გადამილახავს
ბრევლი რამისა ვარ გამგონები
და ბრევლი რამე თვალით მინახავს...

მაგრამ ერთი რამ, როგორც სჩანს თვალით არ გინახავთ — ქართული ლექსიკონი.

სურებელ ტურას: (ჩოხატაური)—მოგვყავს თქვენი ლექსის ნაწყვეტი:

თეთრი თოვლი დნება
მოდის გაზაფხული
შენს ლოდინშია ეპრაქსია
დნება ჩემი გული
ლექსს ვაფრინებ შენთან
ლექსო, ახლოს, მახლოს
იქნებ ჩემმა ჩიტმა
ეპრაქსიამ გნახოს.

ტყუილი იმედია, თეკეი ლექსა, რომელიც შეცდომით ნიანგის მისამართით გამოგიგზავნიათ, ისეთ ადგილას შევინახეთ, რომ ეპრაქსია კი არა „ეშმაკიც ველარ ნახავს“.

ლეონს: თქვენს ვრცელ ისტორიას აკლია გეოგრაფია; ესე იგი თქვენს ვრცელ წერილში რედაქციის მიმართ საკმაო ვრცლად არის აღწერილი თქვენი ვინაობა: სოციალური წარმოშობა, დაბადების წელი, პროფესია და სხვა, მაგრამ აკლია ერთი მნიშვნელოვანი რამ, ურომლისოდაც წერილის მოთავსება არ შეგვიძლია: — თქვენი მისამართი.

ჭიჭიკოს: (აქვე) — თქვენს ლექსში, როგორც ამბობენ, —

საცხა რაცხა
ნაკლია
რაცხას რაცხა
აკლია.

შემოიარეთ რედაქციაში.

ვარდანელს: (ლეხაინდრავო) ჩვენი რედაქციის მუშაკთა კოლექტივი ბევრი აკინა თქვენმა პოემამ, მაგრამ მისგან მხოლოდ შესავალს ვათავსებთ:

ჩემს მგოსნურ თავში
ჩემს მგოსნურ თავში
ყუმბარა გდია,
და ჩემი ლექსი
და ჩემი ლექსი
რასაც მოხვდება
გაგლეჯს გახეთქავს

მიუხედავად ასეთი მუქარისა ჩვენი სარედაქციო გოდორი, რომლის კედელსაც იგი მოხვდა, ჯერჯერობით თავის საპასუხისმგებლო პოსტზე უვნებლად სდგას.

საგვერდი „რეკორდსმენებს“

ცაგერის სკოლებში ფიზიკურ აღზრდას არ ექცევა საკმაო ყურადღება, რის გამოც მოწაფეებში არა ჯანსაღი ჩვევები ვითარდება..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ა. კროტკოვის.

— ჩვენი სკოლის მოწაფეები ყოველდღე ახალ-ახალ რეკორდებს იღებენ.
— სასკოლო წარმატებებით?..
— არა, ახლ-ახალი „რეკორდის“ კოლოფები მიაქვთ პაპიროსის გასაბოლებლად.

რედაქტორის მაგიერ: ს. ბაჩეჩილაძე. რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 5.
ჰოლიგრაფკომბინატი, ჟორესის ქ. № 5. შეკვეთა № 654. მთავლიტ. რწმ. № 7023.